ყოველკვირეული საპოლიტიკო, სამეცნიერო და სალიტ. გაზეთი

№ 7 6 ივლისი 1908 წ. ფასი 10 კ.

შინაარსი: საპარლამენტო სესიის შეწყვეტის გამო.—ნაცია ისტორიის გზაზე, **ონ—ისა.**—სხვა-და-სხვა ამბები ჩვენში და რუსეთში.—ცოტა რამ საზღვარ-გარეთის სამღვდელოებაზე (წერილი ვენიდან), **მ. მგალობლიშვილის.**—გაუპატიურებული (ლექსი), **დ. თურდოსპირელისა.** —ჟურნალ-გაზეთებიდან. — პროვინცია. —ცოტა რამ ქართულ მხატვრულ ლიტერატრუაზე, **ლაც. მეტრეველის.** მასწავლებელი (მოთხ.), **ს. პართენაშვილისა.**—მუშათა მოძრაობა.—საზღვარ-გარეთ.—განცხადება.

საპარლამენტო სესიის შეწყვეტის გამო.

სახელმწიფო დუმას, 28 ივნისის სხდომაზე, თავმჯდომარის ამხ. თ-დ. ვოლკონსკიმ წაუკითხა უმაღლესი უქაზი, რომლითაც დუმის მოქმედება შეწყვეტილია 29 ივნისიდან ამა წლის 15 ოქტომბრამდე. უქაზის პირველ სიტყვის გაგონებაზევე ყველა დეპუტატები ფეხზე წამოდგენ—სოც.-დემოკრატიული ფრაქცია ამ ცერემონიას არ დასწრებია. წაკითხვის დასრულებისთანავე მთელმა კრებამ დასძახა „ურა!“ შემდეგ გამოვიდენ მეორე დარბაზში და როგორც შეჰფერის წმინდა რუსეთს, უფლისა მიმართ სამადლობელი პარაკლისი გადაიხადეს.

ასე დასრულდა რუსეთის მესამე პარლამენტის I სესია. ამ ხელათ დეპუტატები აღარ გაურეკნიათ, აღარც ტავრიდის სასახლეს შემორტყმია ჯარი. დეპუტატები კანონიერათ დაიშალნენ, დუმის მოქმედება შეწყდა კონსტიტუციონურათ. არა მარტო დუმის ცენტრი და მემარჯვენენი, არამედ ზოგიერთი ჩვენებური მცონარა პროგრესისტებიც ამ „ბედნიერ“ გარემოებას უმადლიან თვით მესამე დუმის პოლიტიკურ ტაქტსა და გამჭრიახობას. ეს აგრეც იქნება, თუკი პოლიტიკურ ტაქტსა და გამჭრიახობას ვუწოდებთ პოლიტიკურ უმოქმედობას, ანუ უთავბოლო ლაყბობასა თუ ბალი-აღობას.

მართა ერთი შეხედვით, მესამე სახ. დუმის მუშაობა დიდათ ნაყოფიერათაც კი გვეჩვენება. ასე მაგ. დუმის კანცელარიისაგან გაკეთებულ სტატისტკურ ცნობებიდან ვხედავთ, რომ დუმის კომისიებს განუხილავთ უკვე 143 კანონ-პროექტი,—განსახილველი დარჩენია კიდევ სამასამდე კანონ-პროექტი—თვითონ დუმას, საერთო კრებებზე, განუხილავს 142 კანონ-პროექტი; აქედან უარუყვიათ მხოლოთ ხუთი, დანარჩენები მიუღიათ და გადაუციათ სახ. საბჭოსათვის; 90-ს ჰღირსებია უმაღლესი დადასტურება და მისცემია საკანონმდებლო სანქცია. გარდა ამისა, დუმას განუხილავს 32 „სმეტა“ ხარჯთაღრიცხვისა.

ასეთია ციფრები დუმის მოქმედების; მარა საკითხავია, ამ ციფრებში ნამდვილათ რა არის აღნიშნული, ე. ი. როგორია ამ საკანონმდებლო აქტების პოლიტიკური ღირებულება. ჩვენ ვიცით, რომ დუმა ძალიან ბევრ დროს ანდომებდა ისეთ კანონ-პროექტებს, როგორც პეტერბურგის აღდგომის თუ ამაღლების ეკლესიის მნათის არჩევნების შესახებ, რომელლაც სკოლასთან სამჭედლოს დაარსება ანუ საკამეჩო გადასახადი და სხ. ამგვარი საკითხების კანონ-პროექტები. სახ. დუმას არ მიუღია არც ერთი ისეთი კანონ-პროექტი, რომელსაც რაიმე თვალსაჩინო ცვლილება შეჰქონდეს ქვეყნის მოშლილ მართვა-

გამგეობაში და ან ანგარიშს უწევდეს ხალხის მიუცილებელ, მწვავე საჭიროებათა. ასე რომ თუ ავიღებთ ამ სესიაში დუმის მოქმედების დადებით მხარეს, იმის ნაყოფად ხელში დაგვრჩება არარაობა. მარა ამ მოქმედებას აქვს, რასაკვირველია, მეორე მხარეც.

დუმაში—მემარჯვენეთა სავარძლებზე—მართალია, საკმაო ადგილი ჰქონდა დათმობილი უთავბოლო ბაასს. შავები, „ჭეშმარატი რუსები“ არ იშლიდენ თავის უწმაწურობას, არ თაკილობდენ კლოუნურ და ბაზაზხანურ მალაყებს; თვით ოქტომბრისტები ყოველთვის მზათ იყვენ „პატრიოტულ“ „რეჩებისათვის“, მათ მეტათ გაიკარჯიშეს ბალი-ალობა, ზოგჯერ არ ერიდებოდენ თვით შავ-რაზმელებთან დამოყვრებასაც და ყოველ შემთხვევაში მათთან ერთად კეთილ-მეზობლურ განწყობილებას არა სწყვეტავდენ. მიუხედავათ ყველა ამისა, მესამე სახელმწიფო დუმას მაინც ჰქონდა თავისი „ისტორიული დღეები“ და სენსაციონური სხდომები. დუმის ამოქმედების პირველ ხანებში განსაკუთრებით საყურადღებოა მაგ. ის სხდომები, როცა სეფე-სიტყვის საპასუხო ადრესიდან დუმამ ამოაგდო „თვით-მპყრობელობა“, რამაც ნათელ-ჰყო, რომ ძველ რეჟიმს აღარა ჰყავს საკმაო დამცველები თვით უმაღლეს ბატონების ბანაკში. სესიის უკანასკნელ ხანებში დიდათ საყურადღებო დებატები გამოიწვია შინაგან საქმეთა სამინისტროს სმეტის განხილვამ, აგრეთვე საზღვაო სამინისტროსა და სამხედრო სამინისტროს სმეტების განხილვამ, ამურის რკინის-გზის საკითხმა და სხ.

ყველა ამ დებატებმა ნათლათ გამოაშკარავეს თუ ვისა ჰქონია ჩაბარებული 150 მილიონი ხალხის ბედ-იღბალი. თვით ფართე მასისთვის გასაგები ხდებოდა თუ ვინ და რა წეს-წყობილებამ მიიყვანა რუსეთი დაღუპვის პირამდე და ვინ თუ რამ დაატეხა ხალხს ამოდენა ტანჯვა-მწუხარება შინ და გარეთ...

ხშირათ მთავრობა ისეთ მდგომარეობაში ჩნდებოდა, რომ მის გამოსარჩლებას ვეღარ ახერხებდენ არა მარტო ცენტრიდან ოქტომბრისტები, არამედ თვით უკიდურესი მემარჯვენენიც. ამ ყურ-მოჭრილ დეპუტატებსაც ზოგჯერ მთავრობის სასარგებლოთ დაწყებული სიტყვები მთავრობისავე საწინააღმდეგოთ უტრიალდებოდათ. ასე რომ თვით მესამე დუმისაგან მთავრობამ ბევრი რამ იწვნია ისეთი, რაც მას მხოლოთ „კრამოლნიკურ“ და „რევოლიუციონურ“ დუმებისაგან ესმოდა ხოლმე.

ბატონი მინისტრები კი თითქოს ერთმანეთს ეჯიბრებოდენ... სახელოვან ფრაზების გამოგონებაში. ასე ფინანსთა მინისტერი „უკვდავებით“ შეიმოსა თვისი ცნობილ განცხადების მეოხებით: „მადლობა ღმერთს, რუსეთში პარლამენტი არ არისო“, ე. ი. ნურას უკაცრავათ, თუ დუმას ასე კი არ მოვეპყრობით, როგორც უმაღლეს, საკანონმდებლო დაწესებულებას, არამედ, როგორც უბრალო „говорлиня“-სო (სალაყბოსო). სახალხო განათლების მინისტერი მზათ არის დეპუტატებს „შკოლნიკებივით“ ყური აუწიოს, რადგან მათ გაბედეს კრიტიკულათ შეხებოდენ არსებულ „განათლებას“ და გაკიცხვით მოიხსენეს სანინისტროს მოღვაწეობა ამ საქმეში. „რუსული სკოლაო—ღაღად-ჰყო მინისტრმა—უფლისაგანა გვაქვს მოცემულია“. მაგრამ ამ „აფორიზმებში“ პირველობა ისევ პირველ მინისტრს ეკუთვნის. მეორე დუმაში ნათქვამი „не напугаете!“ (ვერ შეგვაშინებთ) ბ-ნ სტოლიპინმა ეხლაც გაიმეორა, მხოლოთ სხვა სიტყვებით. როცა თათბირი იყო „სამხედრო მდგომარეობაზე,“ გაძლიერებულ დაცვის და სხვა განსაკუთრებულ წესებზე, მან კვლავ აღიარა, რომ მთავრობა არ შეიძლება არ ეყრდნობოდეს ფიზიკურ ძალაზეო. ეს ერთხელ გენერალ ტრეპოვმა უფრო კარგათ გამოსთქვა ასე: „თქვენ (ხალხის მხარე) „რეჩების“ ანაბარა ხართ, ჩვენ (მთავრობას) კი „პულემიოტები“ გვაქვსო“. (თითქოს „პულემიოტები“ სხვა ქვეყნების მთავრობას კი არა ჰქონდეს).. ეს აღარც მესამე დუმამ მოიწონა.

დიახ, თვით მესამე დუმა იძულებული გახდა დაეგმო ძველი რეჟიმი, დაეგმო და გაეკიცხა მთავრობის ეს თუ ის მოქმედება, მაგრამ საქმით კი მან ვერც ერთი ნაბიჯი ვერ გადასდგა ამ მხრივ. დუმის ხელმძღვანელი პარტია — ოქტომბრისტები-სიტყვით ეურჩებოდენ მთავრობას, მარა როცა ჯერი მიდგებოდა საქმეზე (გადაწყვეტილების მიღებაზე) ისინი კვლავ მთავრობის მოქმედებას ადასტურებდენ. და როგორც ზევითაც შევნიშნეთ, დუმამ ვერ მიიღო ვერც ერთი ძირითად მოთხოვნების შესახებ კანონ-პროექტი და ვერც კი აღძრა ამაზე საკითხი. უეკველია, ეს აიხსნება იმ გარემოებით, რომ დუმის უმრავლესობას ჯერ კიდევ არ დაკარგვია რევოლიუციის შიშის ქარები.

მაგრამ დრო თავისას იზავს და მათაც დაბოლოს გული საგულეს ჩაუვარდებათ. მომავალი, შემოდგომის სესია ალბათ უფრო საყურადღებო იქნება „განმაახლებელ“ საკანონმდებლო მუშაობის მხრივ. ამ მუშაობის მიმართულებას კი ნთლათ გვაჩვენებს ახლათ შეწყვეტილი სესია: მთელი ხალხის ინტერესები მსხვერპლათ ეწირება ერთ მუჭა მემამულეების ბატონობას; დუმის მესვეურთა ბაირაღს ზედ აზერია: „ძირს ხალხი!“ „ძირს პროლეტარიატი!“ როგორც ეს ითქვა თვით დუმის ტრიბუნიდან. დამონებულ ერების წინააღმდეგ თუ მეტათ არა, არც ნაკლები სისასტიკით იწარმოებს მჩაგვრელობის პოლიტიკა. დუმის მთელი პირველი სესია ხალხის გონებას დაჟინებით ჩასძახის, რომ საპირო არის არა მარტო ძველი რეჟიმის გაუქმება, არამედ აგრეთვე დემოკრატიულ კონსტიტუციის დამყარება; დაჩაგრულ ერებისათვის საპირო არის არა მარტო რუსეთის დემოკრატიული კონსტიტუცია, არამედ აგრეთვე განსაკუთრებული კონსტიტუციონური გარანტიები მათ ეროვნულ თვითარსებობის დასაცავათ. და ასე, თვით მესამე სახელმწიფო დუმის მოქმედება, თვით ამ დუმის შავ-რაზმელები შესანიშნავათ ხელს უწყობენ ხალხის პოლიტიკურ გათვითცნობიერებას, მით იქედება უძლეველი იარაღი რუსეთის ჭეშმარიტ განახლებისათვის.

დიაღ, მიუხედავათ დღევანდელ შავ-ბნელ მდგომარეობისა ხალხის საქმე მაინც წინ მიდის, მთავრობა კი, მიუხედავათ გარეგანი კეთილ-დღეობისა, უფრო და უფრო უნუგეშო მდგომარეობას აღწევს, და ფიზიკურ ძალაზე დაბჯენილ ბიუროკრატიული თვით-მპყრობელობასაც თამამათ შეუძლიან მესამე დუმაში მყოფ თავის მეგობრებს განუცხადოს: „თხუნელებო, თქვენ კარგათა სთხრით ჩემს დასამიწებელ სამარეს!..“

III. ნაცია ისტორიის გზასე.

2.

კაპიტალიზმის ხანაში.

ფეოდალიზმის დროს არსებული კარ-ჩაკეტილობა—როგორც წინა წერილში აღვნიშნეთ—არღვევს ნაციონალურ ერთიანობას; უფრო მეტიც, იგი დამოუკიდებელ თემთა განკერძოებულ პროვინციებს იმდენათ აშორებს ერთმანეთს, რომ თვითეულ მათგანში ისახება ტენდენცია განსხვავებულ ნაციის წარმოსაშობათ. ასეთ ტენდენციას ატარებდენ ერთ დროს მაგ. ჩვენი ქვეყნის ისეთი ნაწილები, როგორიც არის კახეთი, ქართლი, იმერეთი, გურია და უფრო კი სამეგრელო. ამ ტენდენციას წინ ეღობება და ახალ ნაციის ელემენტებს შთანასახიდან გამოსვლის ნებას არ აძლევს უკვე საკმაოთ განვითარებული სულიერი კულტურა, რის მატარებელი არიან გაბატონებული წოდებანი და რაიც მთელ ხალხს ერთ ნაციათ აერთვებს. მაგრამ ეს კულტურა მაინც ვერ აქარწყლებს აღნიშნულ ტენდენციას, ვერა სპობს ნაციის დანაწილების ელემენტებს, რადგან ამას ძირი გამაგრებული აქვს თვით ფეოდალურ ეკონომიურ წყობილებაში. სწორეთ ამიტომ, ნაციის გაერთიანება წილათ ხვდა კაპიტალიზმს, რომელიც, ევროპაში, განვითარებას იწყებს მე-XVI-ტე საუკუნიდან.

ნაციის ვითარებას ცელილება ეტყობა უკვე მე-XIV-ტე საუკუნიდან, როცა აღორძინებას იწყებს ვაჭრობა-მრეწველობა.

ქალაქ ადგილებისკენ ვაჭრები ქვეყნის სხვა და სხვა კუთხეებიდან და მხარეებიდან ეზიდებიან საუცხოო და ძვირფასს საქონელს. ბატონებს უვითარდებათ სურვილი და მოთხოვნილება ამ საქონლის შესაძენათ; სიმდიდრე-ფუფუნების მატება აძლიერებს ფულის საჭიროებას, რაიც თავის მხრივ აძლიერებს გლეხ—კაცობის ექსპლოატაციას, ყველფას მემამულეებისაგან. იზრდება სიღარიბე-სიღატაკე, მრავლდება უმიწა-წყლო, ბოგანოთა რიცხვი, მწვავდება „პურისა და სამუშაოს“ მოთხოვნა. ამასობაში ვაჭრები სოფლათ უკვე აჩაღებენ შინა-მრეწველობას, ქალაქებში ხსნიან სამუშაო სახელოსნოებს – მანუფაქტურებს. ღარიბ-ღატაკთა ერთი ნაწილიც ლუკმა-პურს შოულობს ჯარში შესვლით. ვინმე ძლიერი ფეოდალი (მეფე) აღგენს დაქირავებულთა ჯარს, რომლის დახმარებით ის იმორჩილებს სხვა ფეოდალებს. ამათ საზოგადოებრივ ფუნქციებს ეხლა მეფე ასრულებინებს დაქირავებულ პირებს. სახელმწიფო ხარჯების აკრეფა, ფინანსების გაძღოლა, მოსამართლეობა, კანონების შემუშავება, მართვა-გამგეობა, ყველაფერი ეს ჰბარდება დაქირავებულებს, მოხელეებს, ჩინოვნიკებს. მთელ ამ ბიუროკრატიის შენახვა კი დიდ ძალ ფულს ითხოვს. სახელმწიფოს დიდათ გაზრდილი ხარჯები კისრათ აწვება, რასაკვირველია, მთავარ მოხარკე წოდებას, გლეხ-კაცობას, და ეს გადასახადები—ნაცვლათ წინანდელ ნატურალურ ბეგარისა — ეხლა ფულათ არის გასასტუმრებელი. ამიტომ გლეხი იძულებული ხდება უფრო და უფრო მეტი ნაწილი თავის სამეურნეო ნაწარმოებისა ბაზარზე გაიტანოს და ფულათ აქციოს. ფულის შოვნის საჭიროება, აღებ-მიცემობა—მრეწველობის მოთხოვნილება მთავრობას აიძულებს გლეხების მხარე დაიჭიროს წინააღმდეგ ფეოდალებისა და პირველნი მეორეთა ყმობისაგან იურიდიულათ მაინც გაანთავისუფლოს. გლეხ-კაცობა თანდათან უფრო მეტათ ებმება ვაჭრობა-მრეწველობის პროცესში. საქონლის დამზადება, წარმოება გასასყიდათ—მარქსის სიტყვით რომ ვსთქვათ – ხდება წარმოების საყოველთაო ფორმათ. მრეწველობა უკვე იმდენათ რთულდება, რომ მის გასაძღოლათ საჭირო ხდება სხვა და სხვა კატეგორიის ტეხნიკოსები. გართულებული საზოგადოებრივი ურთიერთობანი იწვევს ათასგვარ დავიდარაბას, სასამართლო პროცესებს, რაც იგულისხმებს მსაჯულებისა და ვექილების ამოქმედებას. ქალაქებში შეჯგუფული ცხოვრება იწვევს მრავალგვარ სნეულებათ, საზოგადოებრივი თუ კერძო ჯანმრთელობა საჭიროებს ექიმების დახმარებას და სხ., ასე თანდათან იზრდება, აგრე წოდებული, თავისუფალ პროფესიის ხალხიც—ინჟენერები, ვექილები, ექიმები და სხ. და სხ.

ამ რიგათ, სრულიად იცვლება საზოგადოებრივი ცხოვრება. ჩნდება ახალი სოციალური ჯგუფები, ახალი კლასები და პროფესიები. ადამიანები ეხლა მიწაზე აღარ არიან მიჯაჭულნი. ხალხი ერთმანეთში ითქვიფება. სოფელი მუდიროთ უკავშირდება ქალაქს, ქვეყნის სხვადა-სხვა ნაწილი ერთი მეორესთან მუდრო ურთიერთობაში ვარდება; აღებ-მიცემობა, საქონლის ტრიალი იწვევს ხალხის ტრიალს—მიმოსვლას; სხვა და სხვა პროვინციების კილოკავები, ზნე-ჩვეულება, რელიგიოზური წარმოდგენანი, უფლება და სხ. ჭკარგავს განკერძოებულ ხასიათს; ერთობა მტკიცდება, ძველი კარ-ჩაკეტილობა იკარგება, ნაცია ერთიანდება.

მაგრამ ნაციის აქ აღნიშნულ ერთიანობა-მთლიანობის აღდგენას ძალიან განსაზღვრული და შედარებითი მნიშვნელობა აქვს. ნაციონალურ კულტურას ჯერ კიდევ ფლობენ ბატონები. მხოლოთ ამათი წრე ეხლა გაფართოებულია; თავად-აზნაურობასა და სასულიერო წოდებას ეხლა ემატებიან ჩინოვნიკები, უთვალავ კანცელარიების მოხელენი და თავისუფალ პროფესიის პირები, ინტელიგენცია. ნაციონალური კულტურის ზე-გავლენა

მდაბიო ხალხზე, თქმა არ უნდა, ეხლა უფრო მეტია, ვიდრე წინათ; მაგრამ ამ კულტურის საუკეთესო განძი გლეხებისათვის, ხელოსნებისა და მუშებისათვის ეხლაც ისევე გაუგებარი და ხელ-მიუწდომელია, როგორც იყო ფეოდალიზმის დროს. ეს უკანასკნელი ჯერ არც არის სავსებით მოსპობილი კაპიტალიზმის პირველ ხანებში. მას ძირიან-ფესვიანათ აგდებს მხოლოთ ბურჟუაზიული პოლიტიკური რევოლიუციები, რის შემდეგ საოცარ ზრდა-განვითარებას იწყებს და უმაღლეს წერტილს აღწევს მსხვილი ვაჭრობა, მსოფლიო აღებ-მიცემობა, დიდი წარმოება, მსხვილი ინდუსტრია, წარმოება უზარმაზარი მანქანების საშუალებით, რაიც ერთ ჭერ ქვეშ თავს უყრის მრავალ ათას მუშა-ხელს და ადამიანთა მასსას დაუცხრომლათ ქვეყნის ერთი კუთხიდან მეორისაკენ მიმოისვრის, ბაზრის პირობების დაკვალათ. მყარდება თანამედროვე კაპიტალიზმი; ეს ძირიანათ სცვლის წინანდელ სოციალ-პოლიტიკურ ცხოვრებას და ამასთანავე სცვლის და ასხვაფერებს ნაციის მთელ ვითარებასაც.

მსხვილი მრეწველობა და ახალი სასოფლო მეურნეობა ველარ ურიგდება, ველარ იშვიდებს სრულიად უვიცსა და ტეტია მუშა-კაცს, ტეტია აღარ ვარგა თვით თანამედროვე ტეხნიკის მექონე ჯარისთვის, სადაც ეხლა საყოველთაო სამხედრო ბეგარის მოსახდელათ თავს იყრის სხვა და სხვა კუთხისა და სხვა და სხვა წრის ხალხი; ველარც ადგილობრივი თვითმართველობა იშვიდებს აბუეტ მოქალაქეს. აუცილებელ საჭიროებათ ხდება სწავლა-ცოდნის გავრცელება. მრავლათ იხსნება პირველ დაწყებითი და პროფესიონალური სკოლები, იხსნება სახალხო ბიბლიოთეკა-სამკითხველოები. ხალხის ფართე მასსაში ვრცელდება სწავლა-განათლება. ამავე მიმართულებით მოქმედებს პრესის თავისუფლება, კრებების, კავშირების უფლება და სხვა მოქალაქობრივი თავისუფლებანი. უფრო კი დიდ მნიშვნელოვან ფაქტორათ ხდება საყოველთაო საარჩევნო უფლება, რომლის მეოხებით თვით უბეჩავესი ნაწილი ხალხისა ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში ებმება და სისტემატიურათ განიცდის პარტიების პროპაგანდა-აგიტაციას, სიტყვით—კრებებსა და მიტინგებზე, თუ ბეჭდვით—ფურცლებისა, იაფ-ფასიან გამოცემებისა და ჟურნალ-გაზეთების საშუალებით. ყველა ეს ერთად აღებული მთელ რევოლიუციას ახდენს ფართე მასსის ფსიხიკაში და ქვეყნის მთელ კულტურულ ცხოვრებაში. ამ მხრივ, ყველაზე უფრო დიდ როლს თამაშობს თანამედროვე მუშათა მოძრაობა, რომლის ორგანოები—პროფესიონალური კავშირები და პოლიტიკური ორგანიზაციები—ორი მხრიდან აწვებიან შესამუსრავათ მშრომელი ხალხის საუკუნოებით გაჭედილ გონებრივ დაბეჩავებას. ამ ორგანიზაციების მოქმედება ამოკლებს სამუშაო დროს, მაღლა სწევს სამუშაო ხელ-ფასს, ერთი სიტყვით აუმჯობესებს შრომის პირობებს და მათ ჰქმნის აუცილებელ ნიადაგს მუშა ხალხის გონებრივ და ზნეობრივ ასამაღლებლათ. მეორე მხრივ, პოლიტიკურ ორგანიზაციების პირდაპირი დანიშნულებაა მუშათა კლასიურ თვითცნობიერების გაღვიძება-განვითარება. ამის შესრულებას თავის-თავად მოსდევს მუშებისაგან სხვა და სხვა სოციალ-პოლიტიკურ თეორიების გაცნობა. ამავე კლასიურ თვით-ცნობიერების გასაფართოებლათ და გასაღრმავებლათ საჭიროა მუშებმა შეიძინონ ელემენტარული ცოდნა მაინც მთელ სამყაროს არსებობის შესახებ. მუშათა კლასი თანდათან ეცნობა ფილოსოფიისა და მეცნიერების სხვა და სხვა სისტემა-თეორიებს. მისთვის უცხო აღარ არის არც ხელოვნების ნაწარმოებნი.

ამ გვარათ, მშრომელი ხალხიც პირდაპირი მონაწილე და თანაზიარი ხდება ნაციონალურ კულტურისა. დიახ, ნაციის დაჩაგრული ნაწილი ამტვრევს ნაციონალურ კულტურის დიდებულ ტაძრის ბჭეს, მაგრამ... მაგრამ ის მაინც კიბის პირველ საფეხურებს ვერა სცილდება და ვერც გასცილდება, ვიდრე არსებობს კაპიტალისტური წეს-წყობილება, ვიდრე არსებობს კლასიური საზოგადოება, ე. ი. ადამიანისაგან ადამიანის ყვლეფა-მჩაგვრელობაზე დაფუძნებული საზოგადოებრივი ცხოვრება.

ადამიანთა გრძნობა-გონების ნაყოფი, დაგროვილი და განვითარებული მრავალ ათას საუკუნეთა განმავლობაში დღეს უკვე იმდენათ მდიდარია, ისეთ სიდიადეს აღწევს ეს ნაყოფი, ეს სულიერი კულტურა ადამიანთა, რომ მის დასაპყრობათ, ე. ი. სავსებით შეგნება-შესათვისებლათ და გამოსაყენებლათ საჭირო არის საკმაოთ ფაქიზი, ნარნარი მგრძნობელობა და საკმაოთ მაღალი, განვითარებული გონება; მაგრამ უწინარეს ყოვლისა საჭირო არის საკმაო თავისუფალი დრო, საჭირო არის ყოველდღიურ ლუკმა-პურისათვის მზრუნველობიდან განთავისუფლებული სულიერი განწყობილება. ჩვენ აქ, რასაკვირველია, სახეში არა გვყავს განსაკუთრებულ ნიჭიერებისა და ენერგიის ადამიანები; ვლაპარაკობთ ჩვეულებრივ მომაკვდავებზე, ხალხის მასსაზე. ამათ შესახებ კი, ეჭვს გარეშეა, რომ ნივთიერი სიღატაკე სრულიად მოუთავსებელია სულიერ სიმდიდრესთან; **თუმცა**—ანუ უკეთ—**რადგან** დღევანდელ პირობებში პირველი მეორის აუცილებელი საფუძველია. როდესაც, მაგ., ბურჟუაზიის ახალგაზდობა ოც წელიწადს და კიდევ მეტ ხანს სწავლა-აღზრდაში არიან, ეს იმას ნიშნავს, რომ ფაბრიკა-ქარხნებსა და მინდვრებში მათ სასარგებლოთ ოფლსა ღვრის მუშა-ხალხი თავის ბავშვებითა თუ ახალგაზდობით. ანუ როდესაც იმავ ბატონების ბრწყინვალე პუბლიკა სტკბება ვინმე ბეტჰოვენის სიმფონიებით თუ ვაგნერის ოპერების მოსმენით განიცდის მაღალ ესტეტიკურ სიამოვნებას და სხ. და სხ. ყველა ეს იგულისხმებს, რომ იმავ სამუშაო ადგილებს ანუ ქვესკნელს, მიწის ქვეშ, სადმე მაღაროებში ნახევრათ შიშველი, ოფლსა და მურში გასვრილი ადამიანები განუწყვეტლივ სჭიმავენ თავის ძარღვებსა და კუნთებს... შრომისაგან დაღლილ-დაქანცული მუშა, იმის მაგივრათ, რომ მოსვენებას მიეცეს, ხშირათ წიგნს იღებს ხელში სამეცადინოთ, ჟურნალ-გაზეთებს კითხულობს, კრებებს ესწრება, ლექციებზე დადის და ასე თანდათანობით მაინც იძენს სწავლა-ცოდნას. მუშების მხრივ—

თქმა არ უნდა—ეს ისეთი გმირობაა, ისეთი ზნეობრივი სიმაღლეა, რომელიც ბურჟუაზიისათვის სამუდამოთ ხელმიუწდომელი დარჩება. მუშა ხალხი თანდათანობით იძენს სწავლა-ცოდნას, მაგრამ ეს ძალიან მცირეა, მხოლოთ პაწია ნატეხებია ნაციის დიად კულტურულ განძებისა. მ.ტის შეძენისათვის კი მუშებს წინ ელობება ნივთიერი სიღარიბე და შედარებით გრძელი სამუშაო დრო.

იქნება შრომის ნაყოფიერება ჯერ კიდევ იმდენათ მცირეა რომ ერის ქონება—სიმდიდრე ვერ გასწვდება ყველას? იქნებ ეს ჯერ კიდევ ვერ უზრუნველჰყოფს ერის ყველა წევრთა რიგიან ფიზიკურ არსებობას, რაიც უეჭველი პირობაა სულიერ კულტურის თანაბარ სარგებლობისათვის? მაგრამ ვინ არ იცის, რომ ჩვენს დროში ზოგჯერ მშიერი თუ ნახევრათ მშიერი ადამიანები საცოდავთ, უნუგეშოთ დალასლასებენ თვ.თ იმ ამბრებსა და საწყობების გვერდით, სადაც აუარებელი სურსათი და სანოვაგე მომხმარებელთა მოლოდინში ფუჭდება და ლპება; ანუ ჩაუცმელობისაგან იტანჯებიან მაშინ, როცა მაღაზიების თაროები ველარ უდგნობენ ათასგვარ ჩასაცმელ-დასახურის და სხვა ნივთეულობის სიმძიმეს. არა, შრომის ნაყოფიერება უკვე საზღაპრო სიმაღლემდე არის მისული, საწარმოოთ ძალები უკვე ჩვენს დროში სასწაულმოქმედებენ, მაგრამ საქმე ის არის, რომ ეს ძალები მხოლოთ კაპიტალის სასამსახუროთ მოქმედებენ. შრომისა და წარმოების ყველა იარაღები და საშუალებანი კერძო პირების, კაპიტალისტების კერძო საკუთრებას შეადგენს. ეს ბატონები კი, რასაკვირველია, თავის ჯიბის ინტერესებს ეძებენ და არა ნაციის სიკეთეს. კაპიტალისტები ნამუშავარის მხოლოთ ერთ ნაწილს აძლევენ თვით მომუშავეებს, დანარჩენს კი თავისთვის იტოვებენ **მუქთად**. მუშა ასეთ პირობაზე უარს ვერ ამბობს, იძულებულია დათანხმდეს, რადგან წინაალმდეგ შემთხვევაში სიმშილით სიკვდილი ელის. კაპიტალისტიც თავის მხრივ უარს ვერ იტყვის სხვისი შრომის მუქთათ დასაკუთრებაზე, ის ვერ მოეშლის მუშათა ჩაგვრა-ექსპლოატაციას, რადგან წინაალმდეგ შემთხვევაში ის თავის-თავს მოსპობდა; ეს კი, რასაკვირველია, მას არ ძალ-უძს. კაპიტალისტები, ბურჟუაზია კლასიურათ იძულებულნი არიან დაიცვან ადამიანისაგან ადამიანის ჩაგვრა—ექსპლოატაცია.

მეორე მხრივ, ყველა ის სახალხო სწავლა-განათლების გამავრცელებელი საშუალებანი, რაიც კაპიტალისტურმა ხანამ წარმოშობა, ეხლა უკვე ათვალწუნებულია ამავ წყობილების მატარებელ ბურჟუაზიისაგან. მართალია ცოტაოდენი სწავლა-ცოდნა მუშების მხრივ საჭიროა თანამედროვე წარმოებისათვის, ხელსაყრელია თვით კაპიტალისტებისათვის; მაგრამ ამათთვის მუშების ბევრი სწავლა-ცოდნა უკვე საზარალოა. ერთი რომ რაც მეტ დროს მოანდომებენ მუშები სწავლას, იმდენი ნაკლები დრო დარჩება შრომისათვის და მაშასადამე იმდენი ნაკლები მოგება დარჩება კაპიტალისტებს, და მეორეც, საკმაოთ განათლებული მუშები, ცხადია, აღარ ინდომებენ კაპიტალიზმის უღლის ტარებას. გარდა ამისა, ბურჟუაზია ეხლა ხედავს, რომ ის სახალხო პოლიტიკური და მოქალაქობრივი უფლებანი, რისთვისაც ერთხელ თვითონვე იბრძოდა თავ-გამოდებით, და რის განხორციელებამაც შესანიშნავათ გააფართოვა ნაციონალურ კულტურით მოსარგებლე ხალხის წრე, ბურჟუაზია ხედავს, რომ ეს უფლებანი მუშათა ხელში უკვე საშიშ იარაღათ ხდება კაპიტალიზმის წინაალმდეგ საბრძოლველათ, და ამიტომაც იგი ესწრაფის ეს უფლებანი რაც შეიძლება მეტათ შეზღუდოს, შეკვეცოს და თუ შეიძლება სულაც გაბათილოს. აგრე რომ არა ყოფილიყო—შევნიშნოთ გაკვრით—რუსეთსა და სპარსეთში ჩვენ მოწმე არ გავხდებოდით განთავისუფლებისათვის მებრძოლ ხალხის იმ ტანჯვა-წამებისა, რასაც ჩვენდა სავალალოთ ჯერ კიდევ არ უჩანს დასასრული. მაგრამ თანამეროვე ბურჟუაზია, ევროპის ოდესღაც რევოლიუციონური ბურჟუაზია „გუნებ ნაქცევათ“ გახლავთ. . კაპიტალიზმი „ორსულათ“ არის ახალ საზოგადოების წარმოსაშობათ...

მაგრამ დავასკვნათ. მას შემდეგ, რაც კლასიური საზოგადოება გაჩნდა, კაპიტალიზმი პირველი საზოგადოებრივი წყობილებაა, რომელიც ხალხის ფართე მასსას კარებს უღებს ნაციონალურ კულტურის ტაძარში შესასვლელათ; მშრომელი ხალხი პირდაპირი მონაწილე და თანაზიარი ხდება ამ კულტურისა, რითაც მყარდება მთელი ხალხის კულტურული ერთობა, მაშასადამე ნაციონალური ერთობა, ნაციონალური ბუნებისა და ხასიათის ერთობა. მაგრამ ამ პროცესს საზღვარს უდებს და ავიწროებს თვით კაპიტალიზმივე. ხალხის ფართე მასსას იგი ნაციის კულტურულ ტაძრის დერეფანშივე ამწყვდევს და ხმალ-ამოწვდილი სდარაჯობს, რომ მან წინ აღარ გადადგას ფეხი. ნაციონალურ განვითარების შეჩერება აუცილებელი პირობა ხდება კაპიტალიზმის არსებობის უზრუნველ—საყოფელათ. ასე და ამ რიგათ, საზოგადოებრივ ცხოვრების მსვლელობა აღწევს იმ საფეხურს, როცა ნაციის განვითარების ინტერესები გადაჭრით ითხოვენ კლასიურ საზოგადოების მოსპობას.

ონ.

სხვა-და-სხვა ამბები
ჩვენში.

29 ივნისს ქ-ნ გორნოსტაევას თავმჯდომარეობით მოწ'და თბილისის ჟურნალისტთა და ლიტერატორთა საზოგადოების დამფუძნებელი კრება. წაკითხულ და განხილულ იქნა საზოგადოების წესდება. კრებამ აირჩია დროებით კომიტეტი სამი პირისაგან და დაავალა მათ შეიძინონ ახალი წევრები, შეკრიბონ საწევრო გადასახადი და სხვა. დასასრულ კრებამ იქონია მსჯელობა ტოლსტოის 80 წლ. იუბილეის შესახებ. კამათის შემდეგ გადასწყვიტეს გამოსცენ ქართულ, სომხურ და თათრულ

ენებზე კრებული, რომელშიაც მოთავსებული უნდა იყოს ტოლსტოის რჩეული ნაწარმოებნი. კრებამ დაადგინა ეთხოვოს რუსეთის გამომცემელ ამხანაგობებს დაუთმოს ტოლსტოის თხუზულებათა რამდენიმე ეკზემპლიარი დაკლებულ ფასში ლიტერატორთა საზოგადოებას კავკასიელ რუსთა შორის გასავრცელებლათ.

—

მიმდინარე წლის საერობო თანხიდან გადადებულია საქართველოს საექსარხოსოს სამრევლო სკოლების შესანახად დახმარების სახით 17,300 მან.

—

პირველ ივლისს ხელ-ახლათ გამოვიდა პატრიოტების გაზ. „გოლოს კავკაზა“.

—

გამოცხადდა „კავკაზ“ში ოფიციალური ბრძანება, რო ბათუმსა და კონტრაბანდის ნაწილში რჩება საგანგებო წესები 1908 წლ. 21 დეკემბრამდის.

—

ადმინისტრაციის განკარგულებით დაიკეტა მექისეთა კავშირი.

—

მომავალ სამოსწავლო წლიდან თბილისის ქართულ გიმნაზიაში სწავლის ფული მოსამზადებელ კლასის მოწაფეებს გადახდებათ 30 მან. გიმნაზიურ კლასებისას -40 მან.

—

გაანთავისუფლეს დაპატიმრებიდან სომხურ გაზ. „ვტაკ“ის რედაქტორი ხუდადიანცი, რადგანაც 2 ივლისს გადიხადა ჯარიმა 1300 მან.

—

ქართულ ფილარმონიულ საზოგადოების მინდობილობით კახეთში მიემგზავრება სახალხო კილოების შესაკრეფათ ზაქ. ფალიაშვილი.

—

ქართული დრამატიული დასი შეუდგა მზადებას მომავალ სეზონისათვის: აძლიერებს რეპერტუარს, ანახლებს გარდერობს, იწვევს ახალ ძალებს ჩაეწერნენ დრამ. დასში და სთარგმის ზოგიერთს პიესებს ევროპიელ გამოჩენილ მწერლებისას.

—

გადასახლების უმთავრეს გამგეობას შეუტყობინებია კავკავის რკინის გზის გამგეობისათვის, რო ახლო მომავალში 15 ივლისამდე შიდა გუბერნიებიდან გამოიცვლის აუარებელი რიცხვი გადმოსახლებულებისა ამიერ კავკასიაში.

—

გაზეთების ცნობით ბაქოში ადმინისტრაციას ადმოუჩენია მთავარი სადგომი საეკვო პირებისა, რომელნიც თავიანთ თავს „შავ ყორნებს“ და „ანარქისტ-კომუნისტებს“ უწოდებდენ. სადგომში იპოვეს სხვა და სხვა ბეჭდები, „ტემპელები, ვექსილები, ყალბი ფულები, ბლანკეები და სხვ. შიგ დაუპატიმრეს იაკობ და ივანე ჯეირანოვები, რომელნიც, გამომძიებლის აზრით, იღებდენ მონაწილეობას მრავალ ძარცვა—ექსპროპრიაციაში.

—

35-28 ივნისს თბილისის სამოსამართლო პალატის სესიამ ბაქოში განიხილა პოლიტიკური საქმე 13 კაცისა, რომელთაც ბრალათ ედებოდა ბაქოს ორგანიზაციის რუს. ს. დ. მ. პ. წევრობა. სასამართლომ ორი გაამართლა, ოთხს სამუდამო გადასახლება გადაუწყვიტა. ერთი ბრალდებულთაგანი სიმფეროპოლის ციხეში იმყოფება.

—

პარასკევს 4 ივლისს, შესრულდა ორი წელილაწადი, რაც ტრაღიკულათ მოკლულ იქნა ქართულ გიმნაზიის ინსპექტორი შიო ჩიტაძე. ამ დღეს ნაშუადღევის $1^1|_2$ საათზე გადიხადეს პანაშვიდი განსვენებულის სულის მოსახსენებლათ.

—

თავ. სუმბათაშვილის პიესა „ღალატი“ გადაუთარგმნიათ „ესპერანტო“ს ენაზე. ახლო მომავალში წარმოადგენენ კიდეც ერთ-ერთ პარიზის თეატრში.

—

ქუთაისი. ორშაბათს, 23 ივნისს, ქალაქის საბჭოს სხდომაზე ხელმეორეთ განიხილეს საკითხი ი. ჭავჭავაძის სახელობის საქალაქო სკოლის გადატანის შესახებ ბალახოვანის ქუჩაზე. ახლილი კენჭის ყრით გადაწყდა შკოლა ისევ იმ რაიონში დაეტოვებინათ ე. ი. საღორიაში, სადაც შესაფერი შენობა შკოლისათვის სრულიად არ მოიძებნება. სამოსწავლო კომისიის აზრი კი ასეთი იყო: შკოლა აუცილებლათ ბალახოვანის ქუჩაზე გადაეტანათ. გასაკვირალი ის არის, რომ ერთმა კომისიის წევრმა კენჭის ყრის დროს მხარი არ დაუჭირა კომისიის გადაწყვეტილებას, მერე იმ წევრმა, რომელიც წინეთ ენერგიული დამცველი იყო შკოლის გადატანის აუცილებლობისა.

—

რედაქციამ მიიღო ახალი წიგნი: „**Антропологія Грузіи. I Грузины Карталиніи и Кахетіи“ А. Н. Джавахова**. გამოცემული მოსკოვის უნივერსიტეტთან არსებულ „ბუნების მეტყველების, ანტროპოლოგიის და ეთნოგრაფიის მოყვარულთა საიმპერატორო საზოგადოების მიერ. წიგნი შეიცავს საკითხის სერიოზულ, სამეცნიერო გამოკვლევას.

—

გამოვიდა **საყმაწვილო ნახატებიანი ჟურნალი „ჯეჯილი“**ს № VI. ნომერი ჩვეულებრივ კარგათა და მასალის მხრივ მდიდრათაა შედგენილი **და სუფთათ** გამოცემულია.

—

რედაქციამ მიიღო „**Посредникъ**-ის“ შემდეგი გამოცემები; სხვა და სხვა მწერალთა აზრები შეკრებილი **Л. Толстой**-ს მიერ: „**Богъ**“, „**Разумъ**,“ „**Божественная природа души**“, „**Свобода**“, „**Единеніе**“. ყველა ეს გამოცემები სუფთათ და საუკეთესო ქაღალდზეა გამოცემული. ღირს თითო 10 კაპეიკი.

რუსეთში.

სიკვდილით დასაჯეს: სევასტოპოლში—ოთხი, ოდესაში—სამი, ვილნოში—ერთი.

—

სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტეს: კრემენჩუგში—ერთს, მოსკოვში—სამს, ვილნოში—ერთს, რიგაში—ორს, ოდესაში—ხუთს, ხარკოვში—ორს, ეკატერინოსლავში—ორს, ბობრუისკში—სამს, ირკუტსკში—შვიდს.

—

ვილნოში აღმოუჩენიათ თხრილი ადგილობრივ არტილერიის იარაღის საწყობის ქვეშ. მოდარაჯემ დრო-

ზე შენიშნა ბოროტ-განმზრახველნი, დაიწყო ყვირილი, რის შემდეგ ორი იმათგანი დაიჭირეს, ერთმა მოასწრო დამალვა. საწყობში ინახებოდა აუარებელი რევოლვერები.

—

გრაივორონის მაზრაში (კურსკ. გუბ.) ტყეში უპოვიათ მშვენივრათ მოწყობილი საიდუმლო სტამბა, შრიფტი, დაბეჭდილი ფურცლები, ბროშიურები და სხვა და სხვა საჭირო საბუთის ქაღალდები რევოლიუციონური ორგანიზაციისა.

—

„კიევსკაია მისლი“ დაჯარიმეს 300 მან.

—

სიმფეროპოლში კაპიტან ილიინსკის სადგომში აღმოაჩინეს საიდუმლო სტამბა.

—

გენ. დუმბაძემ გაამეცა იალტიდან დოქტორ სალტიკოვსკის მოწმენი, რომელთა ჩვენებით სამოსამართლო პალატამ სალტიკოვსკი გაამართლა.

—

მთავრობამ არ დაამტკიცა წესდება „პოლშის ხალხის განმანათლებელ საზოგადოებისა“.

—

ჟიტომირში ანარხისტების დაპატიმრების დროს სამი მათგანი მოკლეს, სამი დაჭრეს, 13 დაატუსაღეს. ჟანდარმების მხრივ დაჭრილია ექვსი, რომელთაგან ერთი გარდაიცვალა.

—

ვოლოგდის საგუბერნიო ციხეში მძვინვარებს სახადი, რომლის მსხვერპლათ, სხვათა შორის, გამხდარა საპატიმროს უფროსი.

—

პეტროზავოდსკში დასჭრეს ხანჯლით გულში პეტერბურგის სამოსამართლო პალატის თავმჯდომარე კრაშენინიკოვი. დამჭრელი დაიჭირეს; ის აღმოჩნდა პეტროზავოდსკის მუშის შვილი, 19 წლ. ჭაბუკი.

—

ფინლიანდიის სეიმის არჩევნების დროს ყველაზე მეტი ხმა მიიღეს სოციალ-დემოკრატებმა (153,525), მათ მისდევენ სტაროფინმანები (107,280), შვედმანები და სხვა...

სეიმში ამოირჩიეს: ს.-დ. 76 (დაკარგეს 4 ადგილი), მლადოფინმანები—29, შვედმანები—30, სტაროფინმანები— 53, აგრარულ კავშირისა—8, ქრისტიანულათ-მოაზროვნე—4.

—

ტრიტუზნის სადგურზე კამენსკის ქარხნის კასირს წაართვეს 25,000 მან.; დასჭრეს კასირი და ერთი ჯარანიკი მოკლეს. დამცემლები მალე დაიჭირეს; ფული უკლებლივ ჩამოართვეს.

—

ეკატერინბურგში აღმოაჩინეს საიდუმლო სტამბა სოციალ-რევოლიუციონერებისა, სადაც ინახებოდა აუარებელი არალეგალური ლიტერატურა. დაიჭირეს 13 კაცი.

—

მილიუკოვისა და ცნობილ პოპოვის საქმის გარჩევა გათავდა. მომრიგებელმა მოსამართლემ დამნაშავეთ იცნო პოპოვი და გადაუწყვიტა ერთი თვით დაპატიმრება.

ს.—დ. ფრაქციამ იუზოვკაში დაღუპილ მუშების ოჯახებს გაუგზავნა შემდეგი ტელეგრამა:

„ს.-დ. ფრაქციამ დიდის მწუხარებით შეიტყო კიდევ ერთი საზარელი კატასტროფა, რომლის მსხვერპლათ ასობით გახდენ პატიოსანი მუშაკები. პროლეტარიატის წარმომადგენელნი მესამე სახელმწიფო დუმისა უცხადებენ თავისს სიბრალულს და ულრმეს თანაგრძნობას გაუმაძღარ კაპიტალიზმის მსხვერპლათ გახდარ ამ ხანაგების და მახლობელთა ოჯახებს“.

ფრაქციას გადაუწყვეტია მიმართოს დაღუპილთა ოჯახებს თხოვნით მიაწოდოს მას დაწვრილებითი ცნობები კატასტროფაზე, მის მიზეზებსა და თავიანთ მატერიალურ მდგომარეობაზე.

—

22 ივნისამე დაუმარხნიათ 264 იუზოვკის კატასტროფის მსხვერპლი.

—

23 ივნისს, მოსკოვში, არხიმანდრიტ მაკარის თავმჯდომარეობით მოხდა რუსის ხალხის კავშირის და მონარქიულ პარტიის წარმომადგენელთა შეერთებული კრება. ცნობილმა დეკანოზმა მ. ვოსტორგოვმა წარმოსთქვა უშველებელი სიტყვა იმის შესახებ, რო მთელ რუსეთში ემზადებიან ლ. ნ. ტოლსტოის პატივისაცემათ. ორატორის აზრით ეს პატივისცემა იქნება უდიდესი შეურაცხყოფა მთელი რუსეთის ხალხისა. ყველაზე ძალიან სამარცხვინოა მოსკოვის ქალაქის დუმის დადგენილება ქალაქის სასწავლებლების შეგირდების მონაწილეობის მიღების შესახებ ამ დღესასწაულში. ეს ძალმომრეობა უდრის ირიოდისაგან ჩჩვილი ყმაწვილების გაწყვეტას. მ. ვოსტორგოვმა მისცა წინადადება კრებას მიიღოს შემდეგი საშუალებანი იუბილეის გამართვის წინააღმდეგ: ეთხოვოს მოსკოვის გენ.-გუბ. და გრადონაჩალნიკს მოისპოს დუმის დადგენილება იუბილეიში შეგირდების მონაწილეობის მიღების შესახებ; გამოიცეს ფურცლები და ბროშიურები, სადაც ჩამოთვლილ უნდა იყოს ტოლსტოის დანაშაულობანი; ეთხოვოს უწმინდესს სინოდს დაუგზავნოს მიწერილობანი ყველა მღვდლებს, რომ მათ ამბიონიდან მიმართონ და აუხსნან მრევლს, თუ როგორი ცოდვაა მართმადიდებელ ადამიანებისათვის მიიღონ მონაწილეობა იმ კაცის იუბილეიში, რომელიც გაძევებულია ეკლესიიდან შეჩვენებით. იუბილეის დღეს, ვოსტორგოვის აზრით, საჭიროა მოხდეს ნამდვილი რუსული დემონსტრაციები, რომ ხელი შეეშალოს დღესასწაულის დიდებულათ გადახდას. დასასრულ კრებამ მიიღო რამდენიმე რეზოლიუცია და დადგენილება: 1) უნდა აღძრულ იქნას შუამდგომლობა, რომ წელს მოსკოვის უნივერსიტეტში მიიღონ მხოლოთ მართმადიდებელი სტუდენტები; 2) რომ ყველა კონ.-დემ. გამორიცხონ სახელმწიფო სამსახურიდან, და 3) ვიტტე, ალექსეევი და კურაპატკინი გაძევებულ იქნენ სახელმწიფო საბჭოდან. („რეჩი“) 22-27 ივნისისა).

ცოტა რამ სახლვარ-გარეთელ სამღვდელოებაზე.

წერილი ვენიდან.

(დასასრული.*)

აი, ეგრე ებრძვის დღეს სამღვდელოება თავის ძალის და ბატონობის განსამტკიცებლათ მოწინავე, პროგრესიულ ნაწილს საზოგადოებისას იმ სახელმწიფოებში, სადაც, როგორც ზემო აღვნიშნეთ, ეკლესია და სახელმწიფო კანონიერ გზით ხელი-ხელთ ჩაკიდებულნი მოქმედობენ.

ახალა ვიკითხოთ, რა გზას ადგება სამღვდელოება იმ სახელმწიფოებში, სადაც რევოლიუციონურ მოძრაობამ მოასწრო და შესძლო ეკლესიის სახელმწიფოსაგან დაეშორებია, სარწმუნოება კი კერძო საქმეთ გამოეცხადებია. ავიღოთ საფრანგეთი და ამერიკა მაგალითად. საფრანგეთში, როგორც ალბად მკითხველ საზოგადოებას მოეხსენება, მხოლოდ ორმა წელმა განვლო რაც სახელმწიფოს მიერ ეკლესიის მფარველობა გაუქმებულ იქნა. წინედ აქაც სამღვდელოება საკმარისად იყო გამაგრებული, მის სამწყემსო მრავალ რიცხოვანი იყო; დღეს კი გარემოება თვალსაჩინოთ იცვლება.

ეკეს გარეშეა, საფრანგეთის სამღვდელოება ამჩნევს იმას, რომ მისი გავლენის დღენი დათვლილია, მაგრამ რა ქნას, რით დააღწიოს ამგვარ მდგომარეობას თავი? მთავრობა მას აღარ ეხმარება, თვითონ კი პროპაგანდა-აგიტაციას, ფლიდობა-კუდ-მელაობას, გამბედობასა და ენერგიას ხელს არ აკლებს, მეტი კი მას აღარაფერი შეუძლია!!..

თუ როგორი იქნება მისი მოქმედება ახლო მომავალში, ამაზე შეიძლება რამოდენიმედ მოგვცეს პასუხი ამერიკის სამღვდელოებამ. ეს უფრო მეტ ინტერესს წარმოადგენს ჩვენთვის, რადგან ამერიკაში დიდი ხანია, რაც ეკლესიას სახელმწიფოსაგან დახმარება არ ახლავს და არც საფრანგეთისებური ტრადიცია მნიშვნელოვან როლს თამაშობს სამღვდელოების ყოფა-ცხოვრებაში. აქ, თურმე, მას თავის გაჩირვებულ მდგომარეობის დასაღწევად ერთ ხერხისთვის მიუმართავს. ქრისტეს მცნების მქადაგებელთ დაუარსებიათ ახალი კავშირი, რომელს სახელად „ქრისტიანულ-სოციალისტური საზოგადოება“ მიუღია, და ამავე სახელის ორგანოსაც სცემენ. წელს ზაფხულში მესამე პარტიული სიზდი მოახდინეს ნიუ-იორკში (ამერიკაშია); სიზდზე იღებდენ მონაწილეობას უმთავრესათ სასულიერო პირები, თუმცა საერო. პირებიც არ აკლდენ.

მათი პროგრამა და ტაქტიკა გვაოცებს და უნებლიეთ ეკვი შეგვაქვს მათ პატიოსან განძრახვაში: მაგრამ დამოკიდებულება ამერიკელ სოციალისტურ პარტიის ამ საზოგადოებასთან ჩვენს ეკეს აკარწყლებს და წინააღმდეგში გვარწმუნებს. მაგ., ამხ. დებსი ამერიკელ სოციალისტურ პარტიის პრეზიდენტი, ერთ მრავალ-რიცხოვან კრებაზე, რომელიც „ქრისტიანულ-სოციალისტურ საზოგადოების“ ინიციატივით მოწვეული იყო, იძულებულია განაცხადოს, რომ „დღეს სამღვდელოებას, როგორც ამხანაგებს, ვართმევ ხელს, იმ სამღვდელოებას, რომელს წინად არაფერში ვენდობოდი და ყოველთვის ხალხის მტრად ვაცხადებდიო“. თვით ამხ. ჰილლიქვიტი, ამერიკის წარმომადგენელი ინტერნაციონალურ სოციალისტურ ბიუროში, და მასთან, რადა თქმა უნდა დიდი ათეისტიც, ახლად დაარსებულ საზოგადოებას მხოლოდ პატივისცემით და ქება-დიდებით იხსენიებს. თქმა არ უნდა ამ საოცარ მოვლენის მიზეზი თვით ეკლესიის სახელმწიფოისადმი განწყობილებაში უნდა ვეძიოთ. აქ დიდი ხანია ეკლესია განცალკევებული არის სახელმწიფოსაგან; ეკლესიამ თავის საკუთარ ძალ-ღონით უნდა იმუშაოს, სახელმწიფოსაგან ის გროშ-კაპეიკსაც ვერ მიიღებს, როგორც უნდა უჭირდეს. სულიერ მამის შემოსავალი სავსებით დამოკიდებულია ეკლესიის წევრთა თავისუფალ ნებაზე. ამის გამო აქ ეკლესია „სამუშაო ქარხანად“ გადაიქცა, რომლიდან სამღვდელოებამ სამუშაო ქირა უნდა გამოიტანოს. დღეს მას ნაკლებათ აინტერესებს სულის ცხონების და განსპეტაკების საქმე; უფრო მეტ ზნიშვნელოვანი კითხვა აქვს გადასაწყვეტი: „როგორ მოვიზიდო ხალხი ეკლესიაში—და მათი გადასახადით თავი ვირჩინოო? იგი დარწმუნდა, რომ ძველი, დახავსებული ქადაგობა აღარ შველის, რის გამო საჭიროა რაიმე ახლის, მეტ ცხოველ-მყოფელის ქადაგებით ხალხში გასვლა. ახალი კი—მან დაინახა სოციალიზმის გავრცელებაში და დაცვაში. ამგვარად, ეკლესია საგიტაციო არენათ გადაიქცა და სოციალურ პარტიის საგიტაციო ტაქტიკა სავსებით მიიღო. დღეს, მაგალითად, ნიუიორკში, ბროკლინში და სხვაგან ეკლესიის კათედრიდან სოციალიზმის ქადაგება გაჩაღებულია; ქადაგებენ, როგორც სამღვდელოება, ისე სოციალისტურ პარტიის წევრები. აქედან ცხადია, თუ რა დიდი განსხვავება ყოფილა აქაურ და გერმანია-ავსტრიის სამღვდელოების შორის. დასახელებულ სიზდზე „ქრისტიანულ-სოციალისტური საზოგადოების“ მესეეურნი პირდაპირ ამტკიცებდენ კლასთა ბრძოლის აღიარების საჭიროებას და მით გერმანია—ავსტრიის კლერიკალთა პროგრამატაქტიკის უვარგისობას და შეუწყნარებლობას ადასტურებდენ. მაგ. ერთი მღვდელი—ორატორი, გვარად ბაჰილი, კრებას გრძელ სიტყვაში ურკვევს, თუ რა საჭიროებას წარმოადგენს სოციალიზმის საქმის დასაგვირგვირნებლად კლასთა ბრძოლის აღიარება. ეპისკოპოზი სპალდანგი უტაჰიდან, ამ საზოგადოების წევრი, წერილით მიჰმართავს კრებას, სადაც ამბობს, რომ კლასობრივი შეგნების გავრცელება მშრომელ მასსაში უმთავრესს მიზნად უნდა იქნას „ქრისტიანულ-სოციალისტურ საზოგადოების მიერ“ დასახულიო. მეორე ორატორი, მღვდელი ვილსონი ნევარკიდან, აეწყვებს კრებას, რომ ჩვენმა საზოგადოებამ მაშინვე უნდა შესწყვიტოს არსებობა, როგორც კი კრებას კლასთა ბრძოლის უარყოფის

*) იხ. ჩვენი კვალის № 6

საფრთხე მოადგებათ. სიეზდმა შეიმუშავა თავისი პროგრამა, რომლის ნაწყვეტი აქვე მომყავს, რადგან ეს ადგილი ამ საზოგადოების მიზანს, მსოფლ—მხედველობას გვაცნობს. თვით საზოგადოება, რომ სიტყვა „სოციალისტური“ უფრო მკაფიოდ იქნას გამოთქმული, იღებს სახელს: „სოციალისტურ-ქრისტიანული საზოგადოება“. აი, პროგრამის დამახასიათებელი ადგილიც:

„ვიღებთ რა მხედველობაში მცნების „ქრისტიანულ სოციალიზმის“ პოლიტიკურ მნიშვნელობის სხვა და სხვაობას, ვაცხადებთ, რომ ამერიკის „სოციალისტურ-ქრისტიანული საზოგადოება“ როგორც აზროვნებით, ისე მოქმედებით, განირჩევა ევროპაში არსებულ, აგრეწოდებულ „ქრისტიანულ სოციალურ“ პარტიებისაგან. ჩვენი მოძრაობა არაფრის გზით არეული არ უნდა იქნას ნახევრად ფილანტროპიულ და ნახევრად რეფორმატორულ მოძრაობასთან, რომელსაც ევროპაში ეწევიან. ჩვენ მოძრაობას არამც თუ კავშირი არა აქვს იმ მოძრაობასთან, არამედ პირიქით ჰგმობს და ჰკიცხავს ეგრედ წოდებულ „ქრისტიანულ-სოციალურ“ მოძრაობას გერმანია-ავსტრიაში, რომელიც ანტი,-სოციალისტურ და ანტი-ქრისტიანულ მოქმედებას ეწევა და რომელიც ყოველი ღონის ძიებით ებრძვის სოციალ-დემოკრატიას, ამ მუშათა კლასსის პოლიტიკურ მოძრაობის გამომხატველს. „სოციალისტურ-ქრისტიანული საზოგადოება“ იცავს სოციალიზმს პირობების დაუდებლათ. ის არ სცნობს არავითარ სპეციალურ ფორმას სოციალიზმისას, ანუ განსაკუთრებულ ხასიათს ქრისტიანულ სოციალიზმისას. სოციალიზმი, რომელსაც ის ქადაგებს, არაფრით არ განსხვავდება ინტერნაციონალურ სოციალისტურ მოძრაობისაგან. „სოციალისტურ-ქრისტ. საზოგადოებას“ არა აქვს მიზნად ახალ პოლიტიკურ პარტიის დაარსება, არამედ იბრძვის და იცავს სოციალისტურ პარტიის პროგრამას და პრინციპებს. საზოგადოების წევრები სოციალისტურ პარტიის წევრებად უნდა ჩაითვალოს; მისი მოქმედება და გავლენა სოციალისტურ პარტიის სარგებლობისაკენ უნდა იქნას მიმართული. საზოგადოებაში შესვლისთვის არ იქნება სახეში მიღებული სარწმუნოებრივი მიდრეკილება. საზოგადოების დაარსება, როგორც განცალკევებული ორგანიზაცია, საჭიროა მისთვის, რომ სოციალისტურ იდეების გავრცელება ეკლესიის და სხვა რელიგიოზურ-ინსტიტუტის წევრთა შორის დაჩქარებულ იქნას. საზოგადოება სიამოვნებით იღებს თავის წრეში, განურჩევლად რწმენისა და ეროვნებისა, ყველა პირთ, ვინც კი განაცხადებს სურვილს; მასთან წინადადებას აძლევს მათ, სოციალიზმის გავრცელების საქმეში ეკლესიის საშუალებითაც შესაფერისი ღვაწლი შეიტანონ“...

აი, როგორი გზა ამოურჩევია ამერიკის სამღვდელოებას. ცხადია ამ სამღვდელოების მიერ დაწყებული საქმე სიმპატიურია და სოციალისტური პარტიაც ამგვარ მოქმედებას თანაგრძნობით მოეკიდება; მხოლოთ ამასთანავე იგი ეცდება, მანამ ხალხს საკმარისად არ შეუგნია თავისი ინტერესები, სამღვდელოებას მოქმედების სასტიკი თვალ-ყური ადევნოს და ყოველი მისი ნაბიჯი კრიტიკის ქარ-ცეცხლში გაატაროს.

მ. მგალობლიშვილი.

გაუპატიურებული.

✦

ლაჟვარდოვანსა ცაზე ციმციმით
მოსცურავს მთვარე სხივ—მომფინარე,
მკერდ—გადაშლილი მთა, მინდორ—ველი
გაჰყურებია მთვარეს მცინარე.

კეკლუც ნიავმა ტურფა წალკოტსა
უწყო ლაქუცი, ტკბილად მოჰბერა;
მგოსან ბულბულმა გრძნობიერებით
სიყვარულისა ჰანგზე დაჰმღერა.

ცელქმა ნაკადმა მოკამკამემა
ბულბულის ყეფას მისცა დასტური,
ხეების რხევამ, ფოთოლთ შრიალმა
ციურის ხმებით დაუტკბეს ყური.

ცხადად ვხედავდი და ცხადად ვგრძნობდი,
რო მე მესხმოდნენ ოცნების ფრთები
და მიწოდებდენ უცხო რამ მხარეს
ტკბილნი, ნეტარნი, ამო წუთები.

მეც ვმორჩილებდი გალაღებული
ტურფა წიალში მსწრაფლ ვინთქმებოდი,
ვგრძნობდი სიამეს, ნეტარებასა,
ვარდ-ბულბულთ ეშხით მთლად ვითვრებოდი.

მავიწყდებოდა ფლიდი ცხოვრება,
მისგან ნასხური ბალღამი მწარი,

მდუმარებითა გულ-მოხიბლული
ტურფა მიდამოს ვეჭვრეტდი დამტკბარი
მაგრამ ბუნების ტკბილ ჰარმონია
უცბად დაირღვა ერთის მიზეზით:
ასული ტურფა მოიკრა ჩემსკენ
ღაწვების ხოკით, თმებისა წეწით.
ტანთ სამოსელი შემოხეოდა,
აქა-იქ უჩნდა ტიტვლად სხეული,
და ფეხ-შიშველი, თმა-გაწეწილი
თითქო აჩრდილად იყო ქცეული.
იგი მოსთქვამდა: „ბედკრულო თავო,
წამი ნეტარი არ გღირსებია,
მხოლოდ უგულო, ვერაგ კაცთაგან
შეურაცხყოფა მარად გრგებია!
ჩემი ცხოვრება ყოვლად ფუჭია,
არ რა მშთენია მე ამა სოფლად:
ვინც-კი მებადა, ვის შეენატროდი,
მზაკვრულად მოჰკლეს, დავდიავრ ობლად!
ბოროტსა კაცსა ესეც შეშურდა:
ურცხვად შემახო ბინძური ხელი...
ნამუს—ახდილი დავიარები,
რას ველოდები, რაღას მოველი?“
იმისი მოთქმა, მისი გოდება
გულის სიღრმეში შეიჭრებოდა,
და საოცნებოდ შესხმული ფრთები
მსწრაფლ მშორდებოდა, წამსვე ჰქრებოდა.
ველარ მხიბლავდა ცა მოკაშკაშე.
და მობიბინე ტყე, მინდორ-ველი,
გულს მიგმირავდა, ვითა ლახვარი,
ბედკრულის კვნესა, ცრემლთა მფრქვეველი.
მსურდა ქარიშხლად მე გარდაქცევა,
რომ წარმეხოცა ბილწთა ქვეყანა,
მაგრამა... ვგრძნობდი ჩემ უძლურებას
—დღეს მათი სუფევს წყეული ხანა.

დ. თურდოსპირელი.

ჟურნალ-გაზეთებიდან.

პოლკ. ლიახოვის შესახებ. შაგნის უკანასკნელ დროის სისხლის მდვრედ გამოდაშქრებას მეჯლისისა და ხალხის წინააღმდეგ, რამაც შეაძრწუნა მთელი განათლებული კაცობრიობა, ამ გამოდაშქრებას—როგორც იტყოდ—მეთაურობდა რუსის სამსახურში მყოფი რუსი პოლკოვნიკი ლიახოვი, რომელიც „ითვლება რუსეთ მოსაკრობის ნება დართვით“. ამ კარეშოების შესახებ გაზ. „რეჩი“ (№151) შემდეგ საგულისხმო სტრიქონებს სწერს:

„ოდესღაც რუსეთი თავის მსოფლიო მოწოდებათა სრულიად ყველა მეამბოხე ხალხის დამშვიდებას და ყველგან იმ წესიერების დამყარებას, რომელიც სუფევდა თვით რუსეთში. ამან რუსეთს მოუხვეია „ევროპის ჟანდარმის“ სახელი და კიდევ საერთაშორისო ბევრი გაჯირვება. ეს ერთი ხანია, კაცი იფიქრებდა, რომ რუსეთმა სამუდამოთ უარი სთქვა ასეთ მოწოდებაზეო... მაგრამ ლიახოვის მოქმედება სპარსეთში ფიქრებს ვვიდეიძებს: მართლა კი უარყო რუსეთმა ჟანდარმის როლი? იქნება მან მხოლოთ სცენა გამოიცვალა და თვისი მოქმედება ასპარეზი ევროპიდან გადაიტანა აზიაში?“

„სკეთსკვი ინ ეს ინრის“. ევროპის პროგრესიული პრესა ამაზე კვლაწრით უპასუხებს „ეიო“.

* * *

ეს რას ნიშნავს? ამ სათაურით ინგლისური ს. დ. ორგანო „Putice“ („ჯასტის“) 27 ივნისის თარიღით სწერს:

„უცნაურია აგრეთვე, რომ გერმანიის პრესა მართლა ძალიან გაბრაზებულია დიდი ბრიტანიისა და რუსეთ შორის ჩამოვარდნილ შეთანხმების გამო. ჩვენ დიდათ წინააღმდეგი ვართ ამ შეთანხმება-მორიგებისა და ვფიქრობთ, რომ იგი მავნებელი და დამამცირებელ-დამაკვეთებელია ჩვენი ქვეყნისათვის, და იმავე დროს სახიფათოა მთელი ევროპის პროგრესისთვის. მხოლოთ უცნაურია, რომ სამ დიდ სახელმწიფოთაგან, მხოლოთ გერმანია არის გააფთრებული ამ სამთა კომბინაციის წინააღმდეგ. ავსტრია-ჰუნგრეთი და იტალია ამას სრულიად დამშვიდებით შეხვდენ. რას ნიშნავს ესე? ჩვენმა ძმებმა გერმანიის სოციალდემოკრატიულ პარტიიდან ხმა უნდა ამოიღონ, სავსებით უნდა გამოთქვან თავისი აზრი და მით განგვიმარტონ ეს მდგომარეობა. ყველა ქვეყნების სოციალდემოკრატია არის ერთათ ერთი ნამდვილი მშვიდობიანობის პარტია“.

* * *

ინგლისის სამღვდელოებაზე. ამას წინათ ინგლისში მომხდარ სამღვდელოების (ანგლიკანურ ეკლესიის) კონგრესის გამო იგივე ჟურნალი სწერს:

„უკანასკნელ ორშაბათს სოციალიზმი, ნამდვილი, დაუმახინჯებელი სოციალ-დემოკრატია აღიარებულ იქმნა... წარმოების ყველა დიდ საშუალებათა და იარაღების სოციალიზაცია მთელი ხალხის საკეთილ დღეოთ ენტუზიაზმით იქმნა მიღებული; კლასთა ბრძოლაც აშკარათ იქნა აღიარებული... რაღა საკვირველია, თუ ლიბერალური პრესა სდუმს იმაზე, რაც იქ (კონგ.) იყო ნათქვამი. რასაკვირველია, ჩვენ ვიცით, რომ ერთი ასეთი კრება კიდევ არ ნიშნავს ინგლისის მთელი ეკლესიის გადაბრუნებას. მაგრამ ეს ნიშნავს იმას, რომ ეკლესიის აქტიური და მოზარდ ნაწილს სძაგდება ეპისკოპოსების ბუტყიანი ფულის-ფხოკვა და მღვდლების სულმდაბალი ფოფხვა მამონის წინაშე. მით უკეთესი!“

ღაბსტ, რომ მათ უკეთესი!

პროვინცია

დ. ხონი. პარკობის დრო ხონში ყველასათვის საანტრელ დროთ ითვლება, რადგან ის ხონს თვალსაჩინო შემოსავალს აძლევს. მაგრამ წინა წელთან შედარებით, წლევანდელი წელი ბევრათ ნაკლები არის; შარშან ფუთი ნედლი პარკი თუ 20-ან 22 მანეთამდე და მეტიც ღირდა, წელს კი 11-დან 15 მანეთამდე ძლივს აწევს (პირველ ხანებში 8-დან 10 მანეთზე მეტი არ ფასობდა). წელს პარკის ასეთი დაბალი ფასების მიზეზი არის მარსელში ფასების დაცემა (გაზ. „ამირ.“ მოთავსებულ კორესპოდენციის ცნობით მარსელში პირველი ხარისხის ერთი ფუთი გამხმარი პარკი ფასობს 49 მან., მეორე ხარისხის კი—45 მ). მაგრამ პარკის მყიდველებმა პარკის მომწევ სოფლელებს არ აკმარეს ასეთი დაბალი ფასები და ფუთზე ერთიდან ორ გირვანქამდე და ხანდისხან მეტსაც უსინდისოთ აკლებენ წონაში.

დ. თურდოსპირელი.

ჟურნალ-გაზეთებიდან.

პოლკ. ლიახოვის შესახებ. შაგნის უკანასკნელ დროის სისხლის მდვრედ გამოდაშქრებას მეჯლისისა და ხალხის წინააღმდეგ, რამაც შეაძრწუნა მთელი განათლებული კაცობრიობა, ამ გამოდაშქრებას—როგორც იტყოდ—მეთაურობდა რუსის სამსახურში მყოფი რუსი პოლკოვნიკი ლიახოვი, რომელიც „ითვლება რუსეთ მოსაკრობის ნება დართვით“. ამ კარეშოების შესახებ გაზ. „რეჩი“ (№151) შემდეგ საგულისხმო სტრიქონებს სწერს:

„ოდესღაც რუსეთი თავის მსოფლიო მოწოდებათა სრულიად ყველა მეამბოხე ხალხის დამშვიდებას და ყველგან იმ წესიერების დამყარებას, რომელიც სუფევდა თვით რუსეთში. ამან რუსეთს მოუხვეია „ევროპის ჟანდარმის“ სახელი და კიდევ საერთაშორისო ბევრი გაჯირვება. ეს ერთი ხანია, კაცი იფიქრებდა, რომ რუსეთმა სამუდამოთ უარი სთქვა ასეთ მოწოდებაზეო... მაგრამ ლიახოვის მოქმედება სპარსეთში ფიქრებს ვვიდეიძებს: მართლა კი უარყო რუსეთმა ჟანდარმის როლი? იქნება მან მხოლოთ სცენა გამოიცვალა და თვისი მოქმედება ასპარეზი ევროპიდან გადაიტანა აზიაში?“

„სკეთსკვი ინ ეს ინრის“. ევროპის პროგრესიული პრესა ამაზე კვლაწრით უპასუხებს „ეიო“.

* * *

ეს რას ნიშნავს? ამ სათაურით ინგლისური ს. დ. ორგანო „Putice“ („ჯასტის“) 27 ივნისის თარიღით სწერს:

„უცნაურია აგრეთვე, რომ გერმანიის პრესა მართლა ძალიან გაბრაზებულია დიდი ბრიტანიისა და რუსეთ შორის ჩამოვარდნილ შეთანხმების გამო. ჩვენ დიდათ წინააღმდეგი ვართ ამ შეთანხმება-მორიგებისა და ვფიქრობთ, რომ იგი მავნებელი და დამამცირებელ-დამაკვეთებელია ჩვენი ქვეყნისათვის, და იმავე დროს სახიფათოა მთელი ევროპის პროგრესისთვის. მხოლოთ უცნაურია, რომ სამ დიდ სახელმწიფოთაგან, მხოლოთ გერმანია არის გააფთრებული ამ სამთა კომბინაციის წინააღმდეგ. ავსტრია-ჰუნგრეთი და იტალია ამას სრულიად დამშვიდებით შეხვდენ. რას ნიშნავს ესე? ჩვენმა ძმებმა გერმანიის სოციალდემოკრატიულ პარტიიდან ხმა უნდა ამოიღონ, სავსებით უნდა გამოთქვან თავისი აზრი და მით განგვიმარტონ ეს მდგომარეობა. ყველა ქვეყნების სოციალდემოკრატია არის ერთათ ერთი ნამდვილი მშვიდობიანობის პარტია“.

* * *

ინგლისის სამღვდელოებაზე. ამას წინათ ინგლისში მომხდარ სამღვდელოების (ანგლიკანურ ეკლესიის) კონგრესის გამო იგივე ჟურნალი სწერს:

„უკანასკნელ ორშაბათს სოციალიზმი, ნამდვილი, დაუმახინჯებელი სოციალ-დემოკრატია აღიარებულ იქმნა... წარმოების ყველა დიდ საშუალებათა და იარაღების სოციალიზაცია მთელი ხალხის საკეთილ დღეოთ ენტუზიაზმით იქმნა მიღებული; კლასთა ბრძოლაც აშკარათ იქნა აღიარებული... რაღა საკვირველია, თუ ლიბერალური პრესა სდუმს იმაზე, რაც იქ (კონგ.) იყო ნათქვამი. რასაკვირველია, ჩვენ ვიცით, რომ ერთი ასეთი კრება კიდევ არ ნიშნავს ინგლისის მთელი ეკლესიის გადაბრუნებას. მაგრამ ეს ნიშნავს იმას, რომ ეკლესიის აქტიური და მოზარდ ნაწილს სძაგდება ეპისკოპოსების ბუტყიანი ფულის-ფხოკვა და მღვდლების სულმდაბალი ფოფხვა მამონის წინაშე. მით უკეთესი!“

ღაბსტ, რომ მათ უკეთესი!

პროვინცია

დ. ხონი. პარკობის დრო ხონში ყველასათვის საანტრელ დროთ ითვლება, რადგან ის ხონს თვალსაჩინო შემოსავალს აძლევს. მაგრამ წინა წელთან შედარებით, წლევანდელი წელი ბევრათ ნაკლები არის; შარშან ფუთი ნედლი პარკი თუ 20-ან 22 მანეთამდე და მეტიც ღირდა, წელს კი 11-დან 15 მანეთამდე ძლივს აწევს (პირველ ხანებში 8-დან 10 მანეთზე მეტი არ ფასობდა). წელს პარკის ასეთი დაბალი ფასების მიზეზი არის მარსელში ფასების დაცემა (გაზ. „ამირ.“ მოთავსებულ კორესპოდენციის ცნობით მარსელში პირველი ხარისხის ერთი ფუთი გამხმარი პარკი ფასობს 49 მან., მეორე ხარისხის კი—45 მ). მაგრამ პარკის მყიდველებმა პარკის მომწევ სოფლელებს არ აკმარეს ასეთი დაბალი ფასები და ფუთზე ერთიდან ორ გირვანქამდე და ხანდისხან მეტსაც უსინდისოთ აკლებენ წონაში.

ადგილობრივმა კომისიამ, რომლის მოვალეობას შეადგენდა სასწორების თვალ-ყურის დევნება, ბევრი ვერაფერი გაიწყო, რადგან მყიდველები მთელი თავისი ამალა ჩარჩებით ყოველივე ხრიკებს ხმარობდნენ სოფლელების მოსატყუებლათ. აი მაგალითათ რა ხრიკებს ხმარობდენ და ახლაც ხმარობენ: ხონში არსებობს საზოგადო სასწორი, სადაც ყოველ დღე მორიგეობდენ კომისიის წევრები და გამყიდველებს პარკს უწონიდენ. მყიდველებს ეს რასაკვირველია არაფრათ მოწონდათ და ძლიერ იშვიათათ ყიდულობდენ იქ მიწონილ პარკს და ისიც თუ ცოტა ნაკლებ ფასში მიცემდენ. ზოგიერთი მყიდველები პირდაპირ ეუბნებოდენ: „თუ ჩემ კაზარმაში წამოხვალ და იქ მომიწონ პარკს, მაშინ 15მ ანეთს მოგცემ ფუთში, და თუ აქ კომისიის წევრებს მოაწონიებ, მაშინ კი 13 ან 14 მანეთსო“. გამყიდველების უმრავლესობა, მიუხედავათ იმისა რომ ყოველ ფეხის ნაბიჯზე ჩასჩაჩნებენ მათ,—იქ კაზარმაში წონაში მოგატყუილებენ და იმისთვის გაძლევენ მეტსო, მაინც ტყუილდებოდენ ფუთზე 50 კაპ. ან 1 მანეთის მომატებით და თანხმდებოდენ მყიდველების უსირცხვილო წინადადებაზე, რის გამო ერთს და ორს არ აკრძალლებია თვალები, მაგრამ გვიანღა იყო. წონაში მოტყუილებით ისახელა თავი გიორგი მაჭარაძემ. როდესაც ეს ვაჟბატონი კომისიის ორმა წევრმა დაიჭირა მის ოინბაზობაში, პარში დორბლებ მოსული გამოვარდა კარში და ისეთი უშვერი სიტყვებით დაიწყო ლანძღვა-გინება, რომლის გაგონებისაც კი შერცხვება ცოტათ თუ ბევრათ რიგიან და პატიოსან კაცს. ბოლოს კომისიის წევრებმა მოიყვანეს ბოქაული და შეადგინეს ოქმი.

წარსულ კვირაში სამსახურიდგან ადმინისტრაციამ დაითხოვა და ხონიდან გასვიოს წინადადება მისცა ადგილობრივ ფოსტა ტელეგრაფის უფროსს ი. გოგიტიძეს. ეს უკანასკნელი ხონში მეტათ უწყინარ და პატიოსან ადამიანათ ითვლებოდა სულყველას თვალში. ი. გოგიტიძის დათხოვნის მიზეზათ ხონში დაჟინებით ასახელებენ აქ სასამართლოს ბოქაულათ ყოფილს კაჭარავას, რომელსაც, რაღაც პირადი ინტერესის გამო უნდა ეჩივლოს გოგიტიძეზე გუბერნატორთან. ამის გამო ხონელებმა 22 ივნისს გაგზავნეს დეპუტაცია გუბერნატორთან, რომელსაც აღუთქვამს გამოძიების დანიშვნა. ვნახოთ რა შედეგი მოყვება გამოძიებას.

ივ.—იძე.

გურია. ვინ არ იცის, თუ როგორ აბუჩად აგდებული და დამცირებულია კაპიტალისაგან ჩვენებური სოფლის მეურნე, რომელსაც არ გააჩნია თითქმის არავითარი საშუალება პირველთან ბრძოლისა... მაგრამ არაოდეს ისე მწვავედ არა გრძნობს ამას ის, როგორც პარკის მოსავლის დროს. აი პარკი მოგროვილია; პატრონმა უნდა გაიტანოს ის ბაზარზე გასასყიდათ; მას ფული ესაჭიროება; შიმშილი თუ სხვა რამ მიუცილებელი მოთხოვნილებები კარებზეა და ითხოვენ გაუხანგრძლივებელ დაკმაყოფილებას; თანაც პარკი სიმძიმეს დღითი დღე კლებულობს... ყველა აქ თქმულიდან ცხადია, სოფლელი ისწრაფის ბაზრისაკენ, რომ რაც შეიძლება ჩქარა მიასაღოს ვაჭარს თავისი საქონელი, რადგან ამ შემთხვევაში სხვა გამოსავალი აღარ არის. ყველა ეს ჩინებულათ ესმით ჩვენებურ სოფლის წურბელებს და ისინიც მზათ არიან თავიანთი უპირატესობით ამ შემთხვევაში ფართოთ ისარგებლონ. არავითარ საშუალებას არ ზოგავენ, რომ ბაზარზე ამ დროს მარტო ისინი დარჩენ, რომ „გარეშე“ მეტოქე ხელს არ უშლიდეს იმათ მგლური უმაძღრობით აღსავსე მოქმედებას. წარსული წლების მაგალითებიდან ვიცით, რომ ისინი შანტაჟსაც ხმარობდენ მსხვილი მოვაჭრის წინააღმდეგ, ოღონდ კი ეს უკანასკნელი ჩამოეშორებინათ თავიდგან. ათასნაირ ხმებს მსხვილ ვაჭართა საგულისხმოთ—„გურიაში არ შეისვლება თავდასხმის შიშითო“ და სხვ.—ხომ კიდევ უმთავრესათ ეს ვაჟბატონები ავრცელებენ. რათა? თავისთავათ ცხადია იმიტომ, რომ მთელი სარგებლობა მშრომელი ხალხის ნაშრომ-ნაამაგისა თვითონ ჩაიგდონ ხელში. მერე არ იკითხავთ, რითი გამოდიან ეს ვაჟბატონები ბაზარზე? უმეტეს შემთხვევაში ყალბი სასწორებით, ცალიერი დავთრებითა და ჩეკებით. ფულს ათითერთმეტი დღის შემდეგ და ხშირათ უფრო გვიანაც თუ ეღირსები პარკის პატრონი, რადგანაც ფულს ვაჭრები უმეტეს შემთხვევაში სოფლელებისგან ეგრეთ წოდებული „მაზანდაზე“ დატოვებულ პარკის დაზღვევადაგირავებით თუ სხვა რამ ამის მგზავსი საშვალებით შოულობენ. წონაში მოტყუებას, დაკლებას, საქონლით გასტუმრებას თუ ასეთ წვრილ ყალთაბანდობას ხომ დასასრული არ უჩანს. აი ყველა ის პირობები, რომლებითაც გარემოცულია პარკის მოსავალი ჩვენში.

ჩარჩული აღვირ-ახსნილი მოქმედება, რომ ოდნავ აილაგმოს, აუცილებელი საჭიროა, გურიის სხვა საზოგადოებებმაც მიბაძონ ბახვის საზოგადოებას და გამართონ საზოგადო ფარდულები პარკის გასახმობათ.

ნარ-ქანი.

ცოტა რამ ქართულ მსატვრულ ლიტერატურაზე.

II.

როცა პოლიტიკური ბრძოლა იყო გაჩაღებული, უმთავრესი როლიც იმას ეჭირა ცხოვრებაში და ცხოვრების დანარჩენი დარგები კი დაჩრდილული იყო მისგან. მაშინ თუ სულ მეტათ არა, უადგილოთ მაინც ჩაითვლებოდა ჩვეულებრივ კულტურულ მუშაობაზე ფიქრი.

დღეს პოლიტიკურ ცხოვრების ბარომეტრმა შესამჩნევათ დაიწია ძირს, მაგრამ სამაგიეროდ გაიზარდა სხვა და სხვა გვარი კულტურული მუშაობის მოთხოვნილება.

დღეს ჩვენი მოქმედება და შრომა დაეძებს ახალ ასპარეზს; ჩვენი გონებრივი, ზნეობრივი და სულიერი გემოვნება კი თხოულობს ახალ საზრდოს და ჩვენც უნდა

ვეცადოთ ამ ასპარეზის გაფართოებებას, ამ საზრდოს მოპოვებას.

მხატვრული ლიტერატურა კი, როგორც შევნიშნეთ პირველ წერილში, არის ერთი უმთავრესი სულიერი საზრდოთაგანი და მისი უქონლობა ჩვენთვის დიდ ნაკლად უნდა ჩაითვალოს.

აქ უნდა თავი გავანებოთ თეორიულ მსჯელობას და პრაქტიკულად უნდა დაისვას კითხვა თუ როგორ და რა გზით შეიძლება ამ ნაკლის რამდენიმედ მაინც შევსება?

კითხვა შეიძლება სამგვარად განაწილდეს:

1) „მიეცეს ნიჭსა გზა ფართო“.

2) მოეწყოს საფუძვლიანად რაიმე გამომცემლობა.

3) გაფართოვდეს მკითხველთა წრე.

დღეს ჩვენში არც ერთი ეს პირობა არ არსებობს იმდენად, რამდენადაც ეს აუცილებელია ლიტერატურ-ის არსებობისა და მის ზრდისთვის.

როცა ჩვენ მწერლებს შეეძლებათ სავსებით გააშლევინონ ფრთა თავიანთ ნიჭს; როცა ეს ნიჭი აღარ იქნება შთანთქული ცხოვრების ყოველ დღიურ წვრილმან კითხვებში ლუკმა პურისათვის ზრუნვაში და კაცს შეეძლება სულითა და გულით იმუშაოს იმ ნიადაგზე, რომელზედაც მოელის ზრდა და აყვავება მის ძალსა და შემოქმედებას.

როცა რაიმე გამომცემლობა ისე მოეწყობა, რომ ყოველი წიგნის გამოცემაზე მას არ მოელოდეს გაკოტრება და ლიკვიდაცია და შეეძლოს აინაზღაუროს თავისი ხარჯი და გაწეული შრომა.

როცა ჩვენი მკითხველი საზოგადოება*) ისე გაიზრდება, რომ ის შესაფერ ზნეობრივ და ნივთიერ დახმარებას გაუწევს ჩვენ მწერლობასა და გამომცემლებს იმათი შრომის დაფასებით, მაშინ ჩვენი ლიტერატურაც დაადგება განვითარების ახალ გზას და იმედია შესაფერ ნაბიჯებსაც გადასდგამს.

მაგრამ ვინ უნდა ითავოს ეს საქმე? ვის შესწევს ამისთვის ძალა?

ცალკე კაცს ჩვენში არავის არ შესწევს ამისთვის ძალა, რამე ახალ საზოგადოებაზე ლაპარაკი მეტია, რადგან წინადვე შეიძლება იმის თქმა, რომ ეს დარჩება ხმად მღაღადებელთა უდაბნოსა შინა.

თუ ჩვენა გვკითხავთ, ყველას ჩავთვლიდით მოვალედ ხელი მოემართა ამ საქმისთვის, ვინც კი ცოტაოდენად მაინც შეეხება საზოგადოებრივ საქმეს, მაგრამ ეს მოვალეობა მაშინ შეიძლება დააკისრო ადამიანს, როცა თვითონვეა დარწმუნებული, რომ მართლა მოვალეა, უიმისოდ მას ვერ აიძულებ ამის შესრულებაში, რადგან ანისთვის არაფერი იურიდიული ძალა არ გიმაგრებს ზურგს.

მაშ ჩვენ უნდა მოვსძებნოთ ისეთი დაწესებულება, რომელიც უკვე არსებობს, და რომელზედაც უფლება გვაქვს დავაკისროთ ეს მოვალეობა. ესეთ დაწესებულებათ ჩაითვლება **წერა-კითხვის საზოგადოება.**

მართლაც ვის შეუძლიან ამ საქმის მოწყობა და მისი გაძღოლა თუ არა წ.-კ. საზოგადოებას. იკითხავთ როგორ?

მას შეუძლიან ცალკე განყოფილება დაარსოს, რომელიც მოჰკიდებს ხელს საუკეთესო ნაწერების გამოცემას ან ცალკ-ცალკე ან ლიტერატურულ კრებულებად, როგორც „Сборникъ Знанія“ და სხ.

მისი ნივთიერად უზრუნველ-ყოფა შეიძლება სხვა და სხვა გზით:

შეიძლება განსაკუთრებული წარმოდგენები და სეირნობა გაიმართოს მის სასარგებლოთ.

შეიძლება წ.-კ. საზოგადოებამ მისცეს ნაწილი თავის შემოსავლისა.

ან კიდევ **ილიას ფონდი.**

თუ სავსებით არა ამ ფონდის ნაწილი მაინც შეიძლება გადაიდოს ამ საქმისათვის და ეს კი იქნება ილიას უკვდავი ძეგლი; ეს იქნება სურნელოვანი ყვავილი მის საფლავზედ დარგული; ეს იქნება დაგვირგვინება იმ დიადი წმიდა საქმისა, რომლისთვისაც დღეს პატივსა სცემს ილიას ქართველი ხალხი.

თუ წ.-კ. საზოგადოებამ ითავა ეს საქმე, ამითი ის ჩვენ მწერლებსაც დიდ დახმარებას გაუწევს და მკითხველ საზოგადოებასაც შემოიკრებს თავის გარშემო, რადგან ქართველები, განურჩეველად კლასისა და მიმართულებისა, ყველა სიმპატიურად უყურებს ამ დაწესებულებას და დარწმუნებულიც იქნებიან, რომ ის მათ უხეიროს არაფერს არ მიაწვდის. ეს კი ღირსეულ დახმარებას გაუწევს ჩვენ ლიტერატურას და დიდი გავლენაც ექნება მის მომავალ განვითარებაზე.

ცხადია ჩვენ ისე ოპტიმისტი არა ვართ, რომ ვფიქრობდეთ, ვითომ, როგორც ზღაპრული ეერიქონის ვარდი ერთი ცვარის დაცემისთანავე ახლად იფურჩქნება, რაც გინდა დამკვნარი იყვეს, ქართული ლიტერატურაც ერთბაშად წარმოდგეს ფეხზე და მიაღწიოს განვითარების უმაღლეს წერტილს. არა, იმისთვის ბევრი ჟეჟუნა წვიმაა კიდევ საჭირო, ბევრი მორწყვა, რომ ოდესმე შესძლოს თავისი დანიშნულების შესრულება, მაგრამ ზემოდ ნაჩვენები გზა კი ხელს მოუმართავს მის საერთო ამაღლებასა და განვითარებას.

არის კიდევ დაწესებულება, რომელიც თითქმის ზრუნავდა ჩვენი ლიტერატურის აყვავებაზე. ეს არის ქართ. დრამატ. საზოგადოება, ის 7-8 წელიწადია ყოველ-წლივ აცხადებს სამ პრემიას საუკეთესო დრამატიულ ნაწერებზე.

სულ დანიშნული პრემიების ჯამი 4,000 მ. აღემატება. აქედან მხოლოდ ერთად ერთ დ. ნახუცრიშვილს

*) ჩვენ აქ სახეში გვყავს არა **მომავალი** მკითხველი საზოგადოება, ეს საერთოდ კულტურის განვითარებისა. და მრავალი წლების საქმეა, არამედ ის, რომელიც უკვე არსებობს ეხლა, მაგრამ შესაფერი საზრდოს უქონლობის გამო, მისი ერთი ნაწილი ეწაფება რუსულ და სხვა ქვეყნების ლიტერატურას და მეორე კი დაქანცულია ჩვენ დღევანდელ ფრიად დაბალხარისხოვან ლიტერატურაში.

აღირსეს პრემიად 100 მ. დანარჩენი კი უბრალო გაზეთურ განცხადებად დარჩა და არაფერი შედეგი მას არ მოჰყოლია.

ამ პრემიების დანიშნულება საერთოდ ასე გვესმის: როცა ყოველწლივ ინიშნება სამი პრემია, მაშინ ყოველ წელიწადს წარდგენილი ნაწერებიდან არჩევენ შედარებით სამ საუკეთესო ნაწარმოებს და აჯილდოვებენ მათი ღირსების დაგვარად. დრამატიული საზოგადოება კი ასე არ სჩადიოდა, და ამ შემთხვევაში არ იცის კაცმა, საზოგადოების ისეთი მოქმედება მოტყუებად ჩასთვალოს, გაუგებრობად თუ დაუდევრობად.

იმედია წ.-კ. საზოგადოებაც არ მიჰბაძავს დრამატ. საზოგადოებას და ჩაილოლის წყალს არ გაატანს ამ ფრიად საყურადღებო კითხვას მეტადრე მაშინ, როცა ეს კითხვა პირდაპირ იმას შეეხება.

ლავ. მეტრეველი.

მასწავლებელი.

(მოთხრობა,*)

III

ნიკო, სანამ ის ცხოვრების მორევში შეცურდებოდა, მანამ ტკბილი ოცნებებით და ილიუზიებით იკვებებოდა; აღფრთოვანებული და გატაცებული, ის მუდამ ცაში დაფრინავდა და ძირს, ცოდვილ, ბიწიერ და ტალახიან დედა-მიწაზე ფეხის დადგმას ყველანაირათ ერიდებოდა. ცხოვრებას, ხალხს და თავის მომავალს ის საოცნებო, ახალ-გაზდური სათვალეებით აცქერდებოდა, საიდანაც მას თვალ-წინ გონების წარმტაცი სურათები ეშლებოდა.

ნიკო ხშირათ ოცნებობდა თავის მომავალ მიჯნურზედაც, რომელსაც მისი ჭირი და ლხინი უნდა გაეზიარებინა და აფერადებული ყვავილებით დაფენილ ცხოვრების გზაზე საფლავის კარებამდე მიყოლოდა; მას გულში ხატათა ჰქონდა ჩასვენებული მისივე მკვირცხლი ოცნებით წარმოშობილი იდეალი მიჯნურისა, რომელიც მას თავის მოსხიბლავი სილამაზით და გულის ტკბილათ ამჩქროლებელი ღიმილით თავისაკენ მძლავრათ იზიდავდა. ნიკო ღრმათ დარწმუნებული იყო, რომ თავის იდეალის განხორციელებას მართლაც იპოვიდა და მასთან ერთად ბედნიერათ დალევდა სიცოცხლეს.

მაგრამ მას სინამდვილემ აქაც უმტყუნა და მწარეთ დასცინა; ცხოვრების ბობოქრობამ და მისი ტალღების ტრიალმა ის აქეთ-იქით მიახეთქ—მოახეთქეს, ააქანდაქანეს და მარგალიტი ოცნებები და ილიუზიები მოულოდნელათ მიუფანტ-მოუფანტეს. ნიკომ ვერ იპოვნა თავისი იდეალი; ამისათვის ის უმწეო და უძლური აღმოჩნდა, ის იძულებული შეიქმნა თავისი მომავალი ბედიღბალი სხვებისათვის და ბრმა შემთხვევისათვის ჩაებარებინა.

*) იხ. ჩვენი კვალი № 6.

ნიკოს ბედმა არგუნა თვრამეტ-ცხრამეტის წლის, დედ-მამით ობოლი, ელენე; შავ-თვალ-წარბა, მიმზიდველი ბადრი სახით, წარმოსადგენი, ლერწამის ტანით ის ლამაზ ქალად ჩაითვლებოდა. გაუფურჩქნავი კოკორივით ნორჩი, კდემა-მოსილი და ნარნარი ელენე მოულოდნელი ბედნიერებით თავდავიწყებული მთელი თავის არსებით ნიკოს მიენდო, რომელსაც ის ზეციდან ჩამოფრენილი მხსნელივით მოევლინა.

არც ნიკო იყო მომდურავი თავის ბედისა. უპატრონობაში და ობლობაში ბიძებთან შინაურულათ აღზრდილი ელენე, თუმცა უსწავლელი და განუვითარებელი იყო და ამ მხრივ გაცილებით დაბლაც იდგა ნიკოზე, მაგრამ ეს უკანასკნელი აფასებდა მის ადამიანური გრძნობებით ანთებულ გულს, ძვირფასს ხასიათს და მხნეობას, რითიც ის დაჯილდოვებული იყო.

ერთმანეთის სიყვარულით აღფრთოვანებულმა, ახალ-გაზდა გახარებულმა ცოლ-ქმარმა გაბედულათ გადადგეს ნაბიჯი ოჯახური ცხოვრებისაკენ; მათ სიცილ-ხარხარით შეაცურეს თავის ბედის ნავი აღელვებულ ცხოვრების ტალღებში და მხნეთ შეებრძოლენ მათ მრისხანე სრბოლას. ისინი უშიშრათ დაქანებდენ თავის ნავს; მომავალიც მათ თითქოს ულიმოდა...

მაგრამ ყოველ—დღიური, მკაცრი ცხოვრება თავისას არ იშლიდა; ის ახალგაზრდა ცოლ-ქმრის ბედნიერებაში თავის შხამს და გესლს ჩუმათ აპარებდა. მწარე სიღარიბე მათ აღმფრენას ფრთას აკვეცებდა; მათი აღფრთოვანება თანდათან ნელდებოდა.

უკან-უკან მიდიოდა ღვედრედიც თებრო რთველიაშვილის ქვრივის ოჯახიც, რომელიც თანდათან ირღვეოდა და იცრებოდა. გლახუას გაჩაღებული ოჯახის კერა ნელდებოდა, თანდათან ცივდებოდა; ქვრივის ოჯახის სასიცოცხლო ძალებს ვალი დაურიდებლათ სწოვდა და მამულის მსუქან ნაპრებს თავისკენ ეზიდებოდა. ულმობელ ცხოვრების კანონებმა თავისი გაიტანეს: თებრო იძულებული შეიქმნა შავი დღისათვის ორი გროშიდა გადაენარჩუნებინა, ღვედრეთს გემოსთხოვებოდა და ქალაქში შვილთან და რძალთან გადასახლებულიყო.

ნიკოს ოჯახიც უფრო და უფრო ირიყებოდა და ღრმათ იფლობოდა ცხოვრების ჭაობში. მოვალეები მას აქეთ-იქით ეწეწებოდენ და სულის მობრუნებას არ აცლიდენ. ნიკო ყველას ეხვეწებოდა, ეღრიჭებოდა, ჰპირდებოდა.

ის ყოველ თვის ოცს გულის-ფანცქალით მოელოდა; მის შავ-ბნელ ცხოვრებაში „ოცი“ ამომავალ ვარსკვლავივით მოსჩანდა. ხშირათ, ძალიან ხშირათ ოცამდის დღეებსა სთვლიდა და თანაც თავის ოჯახის შესავალ-გასავალს, ღარიბ ბიუჯეტს მეათასეთ ანგარიშობდა; ყოველ ანგარიშის შემდეგ დეფიციტი, ვალები ჯამაგირს ერთი-ორათ სჭარბობდა და ყოველ თვე უფრო და უფრო იზრდებოდა.

ნიკო ხედავდა, რომ მისი ნავი ზღვა-ცხოვრების ზედ-მისეულ ტალღების ხათქა-ხუთქს, ვეღარ უძლებდა

და გზა-დაბნეული დაღუპვისაკენ მიექანებოდა. ის უფრო და უფრო შმაგდებოდა და სულის-შემხუთავ ხაფანგში მომწყვდეული, გამწარებული აქეთ-იქით ამაოთ აწყდებოდა.

უპატრონოს, გამარტოვებულ და გარიყულს ნიკოს ხელს არავინ არ უწვდიდა; ის ყველას დავიწყებოდა, ყველას ზურგი შეექცია მისთვის და მის წვა-დაგვას გულ-გრილათ უცქეროდა; ბევრს კიდევაც უხაროდა და კმაყოფილებას გრძნობდა, რომ ნიკოს გარემოებაში თვითონ არ იყო ჩავარდნილი. ნიკო კი იხრჩობოდა და თავის გარეშემო ხელმოსაჭიდებელ ხავსსაც კი ვერა ხედავდა.

ნიკო ოცნებათა სამეფოს გამოეთხოვა; ის ძალა-უნებურათ ძირს, ცოდვილ დედა-მიწაზე დაეშვა; ის იძულებული შეიქმნა ცხოვრების ტალახიან ბილიკებს თანდათან გაცნობოდა; მისი ჭკუა-გონება მხოლოდ ლუკმაზე ზრუნვამ დაატყვევა; ახალ-გაზდური შუბლი მას მზრუნველობით უდროოთ დაეღარა, სახე დაეღვრიმა, რომელზედაც რაღაც გამოუთქმელი ზიზღი აღებექდა. აბუზულ წიწილასავით ფრთებ დაყრილი, თავ-ჩაღუნული და სახე-მოღრუბლული ნიკო აჩრდილივით მოკრძალებით მიდი-მოდიოდა ქალაქის ქუჩებში.

მწარე გაჭირვება მას ათახსირებდა, ამონებდა და ზნეობრივათ ამახინჯებდა. სახლში ის ხშირათ უმნიშვნელო რამეზე ბრაზდებოდა; სხვებისაგან გაჯავრებული, გარემოებისაგან გამწარებული და ბოღმა-მორეული, ნიკო უდანაშაულო ცოლზე უსაბუთო ჯავრობით ჯავრსა ყრილობდა და ამით გულს იმშვიდებდა. სიღარიბე ცოლ-ქრმულ სიყვარულსაც შხამავდა და ერთმანეთთან დამოკიდებულობას ამწვავებდა და ამწარებდა.

ქონებრივათ ღატაკი ნიკო, სულიერათაც დიდ სიდუხჭირეს და შევიწროებას ითმენდა; მას შინაარსიანი სულიერი სიცოცხლე და გონებრივი ვარჯიშობა და მუშაობა სწყუროდა, თავისებურ ადამიანებთან ცხოველი კავშირი და ურთი-ერთობა უნდოდა, მაგრამ საერთო დახშული ატმოსფერა და იგივე ნაკლებულობა მის ყველა ასეთ მისწრაფებებს ჰბორკავდენ და გასაქანს არ აძლევდენ. ცხოვრებაში ობოლი ნიკო, სულიერთაც ობლათა რჩებოდა.

ერთ პატარა ოთახის ჭერ-ქვეშ ნიკო, უჩინრათ და ფარულათ იხრაკებოდა სიღარიბის ტაფაზე, როდესაც განმათავისუფლებელმა მოძრაობამ შეარხია რუსეთის სახელმწიფოს უზარმაზარი შენობა, და მძლავრი მუჯლუგუნებით ის აქეთ-იქით მიაქან-მოაქანა, როდესაც საუკუნოებით შეკავებულმა ბოღმამ ხალხის გულიდგან მრისხანეთ ამოხეთქა და განცხრომის შვილნი ააფორიაქა.

მოძრაობის აზვირთებულმა ნიაღვარმა ნიკოც ნაფოტივით გაიტაცა; მას არ შეეძლო თავი შეემაგრებინა და საერთო ორომტრიალში არ ჩარეულიყო; ისიც თავ-დავიწყებული მიეცა ტალღებს, რომლებმაც დახშული ატმოსფერა გაწმინდეს, ცხოვრებაზე გადაკრული შავი ზეწარი ჩამოგლიჯეს და ბურუსში გახვეული ნიკოც გამოაცოცხლეს. ხალხის მრისხანე გრგვინვამ ნიკოც აახმაურა და აალაპარაკა.

მოძრაობის ტალღებმა იატაკ ქვეშ ჯურღმულში ჩამწყვდეული სოციალ-დემოკრატიული პარტიაც აზვირთებულ ცხოვრების ზედაპირზე ამოიტივტივეს; ისიც პოლიტიკურ სარბიელზე აშკარათ გამოვიდა, მოძრაობას სათავეში მოექცა და გარევოლიუციონერებულ ხალხის ხელ-მძღვანელობა ხელში ჩაიგდო.

საერთო, სახალხო ჭირ-ვარამმა ნიკოს თავისი მდგომარეობა სულ დაავიწყა. მან აინუნშიაც არ ჩასთვალა, როდესაც შეიტყო, რომ ის მასწავლებლობიდგან დაითხოვეს და ამნაირათ გლახაკური ლუკმაც მოუსპეს; ნიკო პირიქით ამაყობდა კიდეც იმით, რომ ეს ხალხის გულისათვის დაემართა.

ნიკო სოფლიდან-სოფლათ დაუღალავათ დაიარებოდა და მხურვალე პროპაგანდა-აგიტაციას ეწეოდა. ის დიდსულიერ კმაყოფილებასა გრძნობდა, როდესაც ხედავდა, რომ მისი სიტყვები გაპოხიერებულ ნიადაგზე ცვიოდა, ხალხის ბნელ ჭკუა-გონებას აღვიძებდა და მის გულს ატოკებდა. ხალხის აღელვებული გულიდან გამოსული და მისგან აღზრდილი შვილი თავის მოჭირნახულე მშობლის წინაშე თავის მოვალეობას პირნათლათ ასრულებდა და ამით დიდ ბედნიერებასა და ნეტარებასა გრძნობდა.

მაგრამ ისევე მოულოდნელათ ცხოვრებამ გვერდი იცვალა; გაზაფხულის სანეტარო დღეები შავ-ბნელი ძალით პირ-მოქუშულ დღეებით შეიცვალნენ. აფერადებული იმედები გაცრუვდენ. ხალხის ალტაცება-ბედნიერებას მისი გლოვის ზარი მოჰყვა.

აღელვებული ხალხის ზვირთები ძველი რეჟიმის ზღუდეებს და მათ ციხე-სიმაგრეებს სამკვდრო-სასიცოცხლოთ შეეხეთქნენ და დამარცხებულნი და თავ-ზარდაცემულნი უკუიქცნენ. გულჩახვეულნი ქვეწარმავალნი ხვრელებიდგან გამოძვრენ და შხამიანათ ასისინდნენ; დაიწყო სუსხიანი რეაქცია: დამსჯელი რაზმები, ხოცვა-ჟლეტა, წვა-დაგვა, ცემა-ტყება, გაუპატიურება, ციხე-ციმბირი და სხვა.

ნიკო ერთ სოფელში დაიჭირეს, მხეცურათ სცემეს, აწამეს, შემდეგ საპყრობილეში გამოამწყვდიეს და რამოდენიმე თვის შემდეგ ჩამოყვითლებული ციმბირისაკენ გაამგზავრეს.

IV

—გოგო ელენე, სამოვარი ჩქარა, თორემ თეატრში დამიგვიანდება, უკმეხის კილოთი უბრძანა მოახლეს ქალბატონმა კატომ, რომელმაც მას სასადილო ოთახში, თეთრ კლიონკა გადაფარებულ დიდ მაგიდის ზევით, მდიდრულათ მორთულ ოქროს ფრად ბჭყვრიალა ჭაღზე ჩამოკიდებული, ელექტრონის ზარის საშუალებით გამოუძახა.

—ეხლავე იქმნება, ქალბატონო, მოკრძალებით მოახსენა მას მოსამსახურე ქალმა და ისევ ჩქარა გატრიალდა.

—დაგწყეველოს და დაგშამათოს ჩემმა გამჩენმა, კარგა შენ აკეთებ საქმეს, ტუზების აწევით წაიბუტ-ბუტა ნერვებ აშლილმა ქალბატონმა.

ქალბატონი კატო ორმოცის წლისა იქნებოდა, მაგრამ შედარებით მაინც ახალ-გაზდურათ გამოიცქირე-ბოდა; ის ბუნებისაგან სილამაზით არ იყო დაჯილდო-ვებული: დაბალი და სქელი ტანი, აპარხლებული და უშნოთ ჩასუქებული სახე, უაზრო ჭრელი თვალები, ქერა წარბები, დაბალი შუბლი, ძირს დაშვებული დიდი ცხვირი და დიდივე ტუჩები მას არა-სასიამოვნო გამო-მეტყველებას აძლევდენ. მაგრამ თვითონ ქალბატონი კატო სულ სხვა შეხედულებისა იყო თავის თავზე; მას ეჭვიც არ შეჰქონდა თავის სილამაზეში და ზედ-მეტათ ხელოვნურათაც ილამაზებდა პირისახეს, რისთვისაც ფერ-უმარილს და სხვა ათას-გვარ საშუალებებს ხმარობ-და.

მთელი მისი ყურადღება ჩაცმა-დახურვაზე და ძვირ-ფას სამკაულებზე იყო მიქცეული. კოხტად დაკულულ-ებული წაბლის ფერი ხელოვნური დალალები, ზურ-გზედ გადაყრილი ასეთივე გძელი კავები, წითელი ხა-ვერდით შემოკრულ თასაკრავზე მოციმციმე ძვირფასი ლალის შუბლის ქინძისთავი, კოხტათ ყურ-გადაგდებ-ული დაბასმული ლეჩაქი, ვარდის ფერი ფარჩის ქარ-თული კაბა, მუქი წითელი ფარჩისავე სარტყელ-გულის-პირი, ოქროს ბრასლეტები და თითქმის ყველა თითებ-ზე ძვირფასი ქვებით მოქედილი ბეჭდები და სხვა სამ-კაულები მართლაც ამშვენებდენ ქალბატონს და მის ბუნებრივს ნაკლს ხელოვნურათ ავსებდენ.

კატოს ქმარი გიორგი ტურაძე გაქნილი და დახე-ლოვნებული მოჯარადრე იყო, რომელმაც თავის გაი-ძვერაობით და მიამიტ, გულუბრყვილო მუშების გატ-ყავებით დიდ-ძალი ქონება შეიძინა. გიორგი, რომელიც პატარაობისას უპატრონოთ და ობლათ ღვთის ანაბარათ იყო მიტოვებული, ქუჩამ გამოზარდა. მან თავიდანვე ალღო აართვა უკეღმართ ცხოვრების ტრიალს და სხვე-ბის მოტყუება და გაყვლეფა კარგათ შეისწავლა.

შუა-ხანს გადასული, ჭაღარა-გამორეული, რგვლად ჩასუქებული და ამღვრეულ დიდ თვალებ დაღებული გიორგი მოჯარადრე მაინც ჩინებულ კაცად იყო ცნო-ბილი; დიდი და პატარა, ღარიბი და მდიდარი, ყველა მას მოკრძალებით თავს უკრავდა და ელაქუცებოდა.

ს. პართენაშვილი.

(შემდეგი იქნება).

მუშათა მოძრაობა.

—

ამ დღეებში სოციალ სამინისტრომ სამხედროო განყოფილებამ გამოაქვეყნა სტატისტიკური ცნობები 1905 წელს რუსეთის ფაბრიკა-ქარხნებში მომხდარი გაფიცვების შესახებ.

ამ ცნობებში სიცოცხლის შორის ნაჩვენებია, რომ 1905 წელს ამ ფაბრიკა-ქარხნებში, რომელიც ექვემდებარება სა-ფაბრიკო ინსპექციას, მომხდარა 13,110-ი შემთხვევა გაფიც-ვებისა; ამ გაფიცვებში იღებდა მონაწილეობას 2,709,695-ი მუშა. 1905-წელს განმავლობაში ვერც ერთი ფაბრიკა-ქარ-ხანა ვერ აცდა გაფიცვას. გაფიცვებში ყველა მუშების ერთ ნახევარზე მეტმა მიიღო მონაწილეობა, ზოგიერთ ფაბრიკა-ქარხანაში ორ-სამჯერ მოხდა გაფიცვა. თუ გვინდა გავიგოთ 1905 წ-ს გაფიცვების სიძლიერე, ის უნდა შევადაროთ 1894—1904-დე მომხდარ გაფიცვებს რუსეთსა და დასავლეთ ევრო-პაში. 1905 წლამდე სოციალ ანარქიაშიი წედაწადში იფი-ცებოდა 098% ფაბრიკა-ქარხნისა და 2,7% მუშებისა. 1905 წელს-კი მონაწილეობა მიიღო გაფიცვაში 93,2% დაწესებუ-ლებისა და 163,8% მუშებისა. ამ არა ჩვეულებრივ გაფიც-ვათა ტალღების ახსნერთებას განცვიფრებაში მოჰყავს სტატის-კოსი, რომელიც შენიშნავს, რომ ეს გაფიცვები უმაკალითოა არა თუ რუსეთისა, არამედ მოელი ქვეყნის გაფიცვათა ის-ტორიაშიო. რუსეთის 1905-ი წლის გაფიცვათა მოძრაობამ ხუთჯერ გადაუსწარა ამერიკისას, გერმანიისას და ოთჯერ საფ-რანგეთისას. გაფიცულ მუშათა რიცხვმა რაოდენობით ორჯერ გადააჭარა შვიდ მრეწველობით ყველაზე განვითარებულ სა-ხელმწიფოს ამ მუშათა რიცხვს, რომელნიც 1900 წ. გა-ფიცვაში იღებდენ მონაწილეობას.

ბევრ გაფიცვებს მიზანად ჰქონდათ განსაკუთრებული დე-მონსტრატიული გამოსვლა ხსენებული წლის პოლიტიკურ ამბების გამო და არა ეკონომიური გაუმჯობესობა; ზნარათა კი-წმიდა-პოლიტიკური მოთხოვნები. საყურადღებოა აღვნიშნოთ ეკონომიურ და პოლიტიკურ გაფიცვათა ურთიერთობა. მთელი გაფიცვების ნახევარი ეკუთვნის პოლიტიკურ გაფიცვებს, ხოლო 70%-კი წამოყენებული აქვს როგორც ეკონომიური, ისე პოლიტიკური მოთხოვნები. მუშების სასარგებლოთ გათავ-და დაჯილდოებით 70%-ი ყველა გაფიცვეებისა, რომელშიაც მონაწილეობას იღებდა ყველა გაფიცულ მუშათა 70,6%-ი. მოგებულ გაფიცვათა ასეთი პროტენტი არ უნახავს არც რუ-სეთს და არც დასავლეთ ევროპას.

ბევრ გუბერნიებში მიიღო მონაწილეობა 75%-ზე მეტ-მა მთელი მუშებისა, დიდ-ინდიანიის, პეტროგოსკისა და თბილისის გუბერნიებში-კი გაფიცულების რიცხვი აღემატე-ბოდა 90 % ყველა მუშებისას. ასეთ გაფიცვებს არ შეიძლე-ბა უწოდოთ ხელოვნური გაფიცვა. ეს არის ხალხური გაფიც-ვა და მისი ჩაქრობა არ შეუძლია არავითარ რეპრესიებს. 1905 წ. გაფიცვების გამო მრეწველობის ზარალი უდრის 125 მი-ლიონს, მუშებისკი — $17^1/_2$ მილიონს.

საზღვარგარეთ.

სპარსეთი. ამ უკანასკნელ ხანებში სოციალი ამბები მოაქვს დეპეშებს სპარსეთიდან. რუსეთის ყველა გაზეთები თითქმის სავსეა შემაძრწუნებელი და აღმაშფოთებელი ცნობე-ბით ამ ბარბაროსულ სტენების შესახებ, რომელიც ხდებოდა თეირანის ქუჩებში. დაბეჭდებული სპარსეთის საწყალი ხალხი

სუკუნოვების განმავლობაში სამშინელ და განსოლეულ ეკონომიულთოვის წარმოუდგენელ ტანჯვა-შეგიწროებას განიცდიდა ტირანებისაგან; ის უვიცობის სიბნელეში შთანთქმული წარმოუდგენელი ცხოვრებით მოთმინებით იტანდა ტირანების მიერ მის ადამიანური სახის შელახვას, გაოცებას და გულში ადგილებდა-ზრდიდა ირსებული წესწყობილებისადმი შურსა და ზიზღს. ის, როგორც ებრაელი მესიის, ელდებოდა იმ სანეტარო მერმისს, როდესაც სპარსეთში ბოდო მოეღებოდა დიდ და ბატარა სატრაპების (მოხელეების) ადგილწასხნილ მოქმედებას და დამეარდებოდა წესიერება. ი, დაჭკრა ამ სანეტარო წუთმა ამ ორი წლის წინეთ სპარსელებისათვის: სპარსეთში გამოცხადებულ იქმნა კონსტიტუცია, ახალი წყობილება, რომელსაც ხალხი მოწყურებული დაეწაფა და მისი დიადი და ცხოველ-მოფფული შინაარსი ამ მოკლე ხანში ისე შეისისხლხორცა, რომ ამ გარემოებამ გაუმაძარი და ბინძური მიზნით გაჟღენთილი კამარიდა ადაფერა. სპარსეთის კამარიდა შეეცადა ხალხის შებორკვა; ხალხის თავისუფლებისადმი მისწრაფების ჩაკვლა, მაგრამ ეს არც ისე ადვილი დარჩა; მთელ სპარსეთის ტერიტორიაზე ბრდიდოეთიდან სამხრეთამდე მედგრად სდექს ტანჯული ხალხის გულიდგან ადმოხეთქილი მუდგარი ხმა: უმალ გაგუდებით დიდიან ბატარამდე და არ მიეცემოთ ნებას ჩვენს ჯალათებს, რომ თავისუფლება წაგვართონო. ხალხი ერთდება, იარაღს ისხამს და გაათეორებული იცავს ძვირფასს თავისუფლებას. გაბრაზებულმა კამარიდამ კი თეერანის ქუჩები ადამიანთა სისხლით გაადაქცია, დაუშინა მეჯლისს ზარაზანები, დაანგრა მრავალი სახლი. მკვლელობა, გაწყვლება, ქალთა და ბავშვთა გაუბატიურება, სახლების აწოკება—ეგვალ ეს ფერიეთ იყო სპარეული „ბაშიბუზუკების“ მიერ. კონსტიტუციის მსახურნელსა და გაუბატიურებულ ოჯახებს არა აქვთ სათვალავი. მაგრამ შურის მაძიებელნი კიდევ უფრო შორს წავიდენ და ჩაიდინეს ისეთი დანაშაული, რომლის მსგავსი ისტორიას არ ახსოვს. „თეერანიდან მოსული იქაურ-ი ამბების მნახველები ამბობენ: შაშისაგან გონება დაკარგულმა თეერანის მცხოვრებლებმა, რომელნიც არ იდებენ არავითარ მონაწილეობას მოძრაობაში, მაგრამ მაინც კაზაკების მიერ შეგიწროებულებმა, რომ მოელბოთ მჩეტები, შეერიენ ერთად 600-ე მტერე წლოვანი მოწაფე, თითეულ ამოთკანს მისცეს ხელში თითო კურანი და გაუგზავნეს რეაქციონერების]ათხოვნელად, რომ შეებრალებინათ ისინი და მათი შობილები. ეს იყო უკანასკნელი სავალები, რომელსაც მიმართეს თეერანის მშვიდობიანმა მცხოვრებლებმა. ავშვები დამწკრივებული წყვიდ-წყვიდათ კურანებით ხელში, თვალტრემლიანნი გაემართნენ მოედანზე, სადაც იყო უმრავლ]ობა კაზაკებისა და მათი უფროსებისა. ერთი მოწაფეთაგანი გამოვიდა და მიმართა კაზაკთა უფროსს (დიასხოს?) ასეთი ფედრებით:

„ჩვენ არა ვართ „კონსტიტუციელების“ და რევოლიუციონერების ბავშვები. ჩვენ სპბრალი ბავშვები ვართ უბრალო სპარსეთის ხალხისა. ჩვენი შშობლები იდუმებიან უანაშაულოთ. ჩვენ დაეობდეთ. ჩვენ ვფოტულობდეთ და მუდამ ვიდოტვთ შაჰისა და თქვენთვის. შეეგიბრალეთ ჩვენ და ჩვენი შშობლები, რომელნიც გადარჩნენ ტოტ]ლები“ ოფიცერები შეეჯეუფდენ და რადგანზე დაიწეეს თათბირი, სანამ ი]ინი თათბირობდენ, ბავშვები ერთად ეეიდრებოდნენ ფმერთს შაჰისა და მისი ძალიერი ჯარის ბედნიერებას. გაიარა რამდენიმე წუთმა. ერთბაშთ გაისმა კამანდა: „ესროლეთ“ და დაიწეო ისტორიის მატიანეში არ გაგონილი ულეტა ბატარა მოსწაფეებისა. 600-ი ბავშოდან დარჩენ ტოტხალი მხოლოთ რამდენიმე დანარჩენები დაიდუბნენ გაბრაზებული კაზაკთა ტეეეიებისა და ცხენების ფოლებიდან, მოედანი შეიღება ბავშების]ისხლით, და ძალადობის მსხვერშლთა სხეულებზე ეეარა ტეეიებისაგან დაგლეჯილი წმინდა წიგნის ფურცლები“...

(„Закавк.“)

არავინ იცის თუ რამდენ ხანს გასტანს სპარსეთის ასეთი მდგომარეობა, მხოლოთ ცხადია, რომ სპარსეთის ბნელი ძალები მაინც ვედარ შეიძლებენ ძველი რეჟიმის აღდგენა-გამაგრებას...

ფოსტა. ამხ. გრიშას: თქვენი წერილი დაიბეჭდება შემდეგ ნომერში.

ყოველკვირეული საპოლიტიკო, სამეცნიერო და სალიტერატურო გაზეთი

ჩვენი კვალი

გაზეთის ფასი:

თბილისსა და თბილის გარეთ	7 მ.	—	კ.
ნახევარ წლით — —	3 მ.	—	კ.
სამი თვით — —	1 მ.	60	კ.
საზღვარ გარეთ ერთი წლით	7 მ.	—	კ.
ნახევარ წლით — —	4 მ.	—	კ.
სამი თვით — —	2 მ.	—	კ.

ცალკე ნომერი ყოველგან ორი შაური.

ხელის მოწერა შეიძლება: თბილისში, წიგნის მაღაზია „სორაპანი“ მადათოვის კუნძული. ფოსტით ფული და წერილები უნდა გამოიგზავნოს ამ ადრესით:

Тифлисъ книжный магазинъ „Сорапань“ (Мадат. островъ) Рахиль Каландадзе.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავ მტერე წერილებს და კორესპონდენციებს რედაქცია დიდხანს არ ინახავს, ინახება ერთი თვით მხოლოდ მოთხრობები და დიდი წერილები.

მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე კვირა-უქმეებს გარდა დილის 11-დან ნაშუადღევის 2 საათამდე.

რედაქტორ-გამმცემელი **ანთ. გიორგობიანი.**

ელექტრო-მბეჭდავი ამხ. **„სორაპანი“**, მადათოვის კუნძული, სახლი მუხრანსკისა № 1.